საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 10 სექტემბერი 2004 №210 (2231) ფასი 50 თეთრი


# ჟირესი სამშობლოში თავაწეული ბრუნდება



## მენტალიტეტი

აქ ჩამოსვლის პირველი დღიდან ვსწავლობ თქვენს მენტალიტეტს, ფეხბურთელების პიროვნულ თვისებებს. მენტალობიდან გამომდინარე ფეხბურთელებს ვთხოვ, რომ კოლექტიური თამაშის მიმართ მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ.

## საფრანგეთი

ალბანეთთან მატჩის წინ „ეკიპმა" მთელი გვერდი დაუთმო ამ მატჩს. თამაშის შემდეგ თანამემამულე ჟურნალისტებმა დამირეკეს და გამარჯვება მომილოცეს, ბევრი ინტერვიუ ჩამომართვეს თურქეთთან მატჩის შემდეგ. საფრანგეთის ტელევიზიამ კი ალბანეთთან მატჩზე თქვა, ჟირესის გუნდმა მოიგოო.

## რეალიზმი

მაღალი კლასის მოთამაშეები საკმაოდ გვყავს, თუმც საქართველო სხვა მასშტაბების ქვეყანაა და ინგლისს თუ საფრანგეთს ვერ გაუტოლდება. მაგრამ ამ ფეხბურთელებით უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება.

## გაკვირვება

სასიამოვნოდ გამაკვირვა ჩვენმა ჭკვიანურმა თამაშმა. ჩვენმა ფეხბურთელებმა კიდევ იმიტომ მიაღწიეს წარმატებას, რომ საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი.



დავით თავართქილაძის ინტერვიუ ალენ ჟირესთან იხილეთ მეორე გვერდზე

# ანდრე აგასიმ როჯერ-ფრენსისს ვერ გაუძლო





REUTERS ნიუ იორკიდან

ატლანტის ოკეანიდან და მისპირა მექსიკის უბიდან ავბედითად დაძრულმა შემზარავმა ქარიშხალმა „ფრენსისმა" ფლორიდა და სხვა სამხრეთის შტატები ხომ მიანაფოტ-მიანაგვიანა და მანამ არ დაცხრა, სანამ სულ ზევით ნიუ იორკს არ გაჰკრა კუდი.

ნიუ იორკი „ფრენსისის" მავნებლობას იოლად გადაურჩა, მანჰეტენის ცათამბჯენები ჯერ უძლებენ ამინდის ჭირვეულობებს. სპორტულ გაზეთში კი ონავარი ქარბორბალას ხსენება იმად დაგვჭირდა, რომ მან ნიუ იორკს შხაპუნა წვიმა მოუვლინა და იქ გახურებულ ჩოგნაობას კალენდარი აუწეწა. ეს გუშინწინ იყო, გუშინ შეგვიანებულზე კი მეჩოგნეები ამშრალ კორტებს და ერთმანეთს მიუბრუნდნენ და გასარკვევი გაარკვიეს. „ფრენსისის" გამოჩენამდე მეოთხედფინალში საჩოგნეთის პირველკაცი როჯერ ფედერერი 2:1 უგებდა პირველყოფილ ანდრე აგასის და რაკი გუშინ ამათ თითო სეტი გაცვალეს, მოგებული და ნახევარფინალში თამაშისთვის გასამზადებლი მხიარული როჯერი აღმოჩნდა. დომინიკ ჰრბატისთან საქმე მოიმთავრა ტიმ ჰენმანმა, ხილო კიდევ ერთ, ოღონდ არა „ფრენსისისგან ხელშეშლილ, არამედ გუშინ დაწყებულ და დამთავრებულ მატჩში ლეიტონ ჰიუიტმა ტომი ჰაასი შემუსრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლოში თავაწეული ვბრუნდები

## ქვევით ვართ, რათა ერთხელაც ავხტეთ



პირველადაა, რომ ორი თამაშის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები შესარჩევ ჯგუფს ლიდერობს. საქართველოს ამ ნაკრებს კი ალენ ჟირესი წვრთნის. ბევრს არ მოსწონს ახლანდელი საქართველოს ნაკრების თამაშის ხარისხი და მასთან კამათს თუ მათთვის კვერის დაკვრას სულაც არ ვაპირებ, მაგრამ რაც ფაქტია, ის უნდა ვთქვათ — ჟირესის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა კამათის საშუალება მოგვცა. ადრე კი იყო შემთხვევები, როცა საქართველოს ნაკრებზე საკამათო არაფერი იყო მისი ბედოვლათი მწვრთნელების გამო.

მუსიე ჟირესი დღეს უკვე სამშობლოშია, ინტერვიუ კი გუშინ ჩამოვართვი. ჟირესის რამდენიმე პასუხი, ისევე, როგორც მისი გაწვრთნილი გუნდის თამაში, იქნებ საკამათოა. თუმც ჟირესს დღეს ყვითელი მაისურა აცვია და მასთან კამათისთვის ალბათ სხვა, უფრო შესაფერისი დროც გამოჩნდება

### ქართულ მენტალიტეტს პირველი დღიდან ვსწავლობ

— შესარჩევ ციკლში ნათამაშევი ორი მატჩის შემდეგ თქვენ საქართველოში უფრო ფრთხილი, ურისკო მწვრთნელის იმიჯი შეიძინეთ, ვიდრე პირიქით — ეთანხმებით ასე შეხედულებას?

— როცა ფეხბურთს თამაშობ, ზომიერება განსაკუთრებულად საჭიროა. ალბანეთთან მატჩში ჩვენთვის მთავარი იყო, ისეთი რიტმი შეგვერჩია, რომ თამაში ჩვენ გვემართა. ალბანელებმა თამაში არ ჩაკეტეს, აქტიურად იმოქმედეს და ეს ჩვენ სასარგებლოდ უნდა გამოგვეყენებინა. ჩვენ ეს მოვახერხეთ და სწორედ ამის გამო შეგვექმნა სივრცეები, რომლის წყალობით გოლები გავიტანეთ. მოკლედ, საჭირო იყო აქტიური თამაში, მაგრამ რისკი გათვლილი უნდა ყოფილიყო. ავიღოთ ისრაელთან ამხანაგური მატჩი. მაშინ სხვანაირად ვითამაშეთ, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ და აქეთ გავუშვით. ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია. განა ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის ნაკრებმა რისკიანი ფეხბურთი ითამაშა?!

— თურქეთთან და ალბანეთთან რაც ვნახეთ ეს თქვენი, როგორც მწვრთნელის, კრედო იყო?

— არის თამაში და არის ტაქტიკა. შესაძლებელია, რომ გარკვეული ტაქტიკით თამაში ფეხბურთელებისთვის ჩვევად იქცეს, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ მეტოქე სულ სხვა ყაიდაზე თამაშობდეს. ამიტომაც შენ იმდენი გონება და შესაძლებლობა უნდა გქონდეს, რომ მეტოქეს შეეწინააღმდეგო და შენი თამაში თავს მოახვიო. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ჯერ არ ვიცი, როგორ ითამაშებს უკრაინა მომდევნო მატჩში ჩვენს წინააღმდეგ.

— თქვენ ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრებიახსენეთ, რომლის მწვრთნელი ოტო რეჰაგელი ერთი წელი მოუნდა ბერძენთა მენტალიტეტის შესწავლას. რა ეტაპზეა თქვენს მიერ ქართული მენტალიტეტის შესწავლა?

— აქ ჩამოსვლის პირველი დღიდან ვსწავლობ თქვენს მენტალიტეტს, ფეხბურთელების პიროვნულ თვისებებს. მენტალობიდან გამომდინარე ფეხბურთელებს ვთხოვ, რომ კოლექტიური თამაშის მიმართ მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ. ვფიქრობ, ამ ორ მატჩში კარგად წარმოჩნდა ჩვენი გუნდის მენტალიტეტი — გუნდური თამაშისთვის საჭირო თვისებები — არც ერთი ფეხბურთელი თამაშიდან გამოთიშული არ ყოფილა.

### ვეტერანები აღარ თამაშობენ

— ნაკრების ვეტერანების, გოჩა ჯამარაულის და შოთა არველაძის თამაშზე რას იტყოდით?

— ვეტერანები ისინი არიან, რომლებიც აღარ თამაშობენ. ამ ორ ფეხბურთელს კი არაჩვეულებრივი გამოცდილება აქვს და რახან მათ ნაკრებში ვიძახებთ, ესე იგი, ისინი გუნდისთვის საჭირო არიან.

— არ მიგაჩნიათ, რომ ჯამარაული გუნდის თამაშს ამუხრუჭებს?

— თუ დამუხრუჭებაზე მიდგა საქმე, ჩვენი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელები უფრო ამუხრუჭებდნენ თამაშს, ვიდრე ჯამარაული. ამ ფეხბურთელს აქვს ისეთი ტექნიკა, რომ ბურთის შენარჩუნება შეუძლია.

— არველაძის თამაშზე რა აზრის ხართ? ის ნაკრების ბომბარდირია, მაგრამ ბოლო ორ თამაშში გოლი ვერ გაიტანა, გულშემატკივარი კი მისგან ყოველთვის ბევრს ითხოვს...

— არველაძის გამოცდილებიდან გამომდინარე, მისით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. არველაძე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია.

— ალბანეთთან რატომ შეცვალეთ ასათიანი 58-ე წუთზე?

— იმიტომ, რომ შუა ხაზი უფრო გამეძლიერებინა.

— ალბანეთთან მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თქვით, გუნდს ფიზიკური კონდიციები აკლდაო — რისი ბრალი იყო ეს?



ჟირესს ეს ძალიან უნდოდა და გააკეთა: ბრიგელზე ძველი ჯავრი იყარა

— გუნდს სიქორფე აკლდა, კონცენტრაციაც სხვანაირი იყო, ვიდრე თურქეთთან. ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ მოხდა ასე, ალბათ იმიტომ, რომ შინ ვთამაშობდით და, ცოტა არ იყოს, რელაქსაციური მომენტიც გაჩნდა. ადამიანურ თვისებებს ყოველთვის ვერ მოერევი. შესაძლოა, თურქეთთან მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს ძალების აღდგენაც გაუჭირდათ.

### ჟირესის გუნდმა მოიგო

— მიშელ პლატინი არ აპირებს საქართველოს ნაკრების რომელიმე საშინაო მატჩზე დასწრებას?

— ჯერ ვერ გეტყვით, მომდევნო საშინაო თამაში ნოემბერში გვაქვს. თურქეთთან მატჩის შემდეგ კი დამირეკა და კარგი შედეგი მომილოცა.

— სამშობლოში თავაწეული ბრუნდებით?

— რა თქმა უნდა. ალბანეთთან მატჩის წინ „ეკიპმა" მთელი გვერდი დაუთმო ამ მატჩს. თამაშის შემდეგ თანამემამულე ჟურნალისტებმა დამირეკეს და გამარჯვება მომილოცეს, ბევრი ინტერვიუ ჩამომართვეს თურქეთთან მატჩის შემდეგ. საფრანგეთის ტელევიზიამ კი ალბანეთთან მატჩზე თქვა, ჟირესის გუნდმა მოიგოო. ცხადია, ჟირესის გუნდი ბრჭყალებში იყო ჩასმული.

— თქვენ ადრე კლუბებს წვრთნიდით და ახლა პირველად მუშაობთ ნაკრებში, რასაც განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს — როგორ ფიქრობთ, ნაკრებში უფრო კარგად შეუძლია მწვრთნელ ალენ ჟირესს თავისი თვისებების წარმოჩენა?

— კლუბის და ნაკრების გაწვრთნა მართლაც სულ სხვადასხვა რამეა. კლუბში თითქოს ერთი ხაზით მიდიხარ, ნაკრებში კი ხან მაღლა ხარ, ხან ქვევით. ჩვენ ახლა უეიფორიოდ, უკვე ქვევით უნდა ვიყოთ, რათა ზევით კიდევ ერთხელ ავიდეთ უკრაინასთან. ნაკრებში ემოციური დატვირთვა სულ სხვაა, ნაკრები ხომ მთელი ქვეყნის გუნდია და სანაკრებო თამაშის ვნება სულ სხვა იმპულსს სძენს თამაშს. თანაც ჩვენ ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთამაშობთ — ეს ყველაზე მაღალი რანგის შეჯიბრებაა, უფრო მაღალი, ვიდრე ოლიმპიური თამაშები.

### ჭკუამ გამაკვირვა

— ეთანხმებით იმ აზრს, რომ საქართველო მაღალი კლასის ფეხბურთელებით ძალიან ღარიბია?

— ასეთი მოთამაშეები ჩვენ საკმაოდ გვყავს, თუმც საქართველო სხვა მასშტაბების ქვეყანაა და ინგლისს თუ საფრანგეთს ვერ გაუტოლდება. მაგრამ ამ ფეხბურთელებით უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება, ვიდრე ეს ადრე ჰქონდა საქართველოს ნაკრებს. ყველაფერს ამას კი მუშაობა სჭირდება.

— სასიამოვნო გაკვირვება — იყო ასეთი თურქეთთან და ალბანეთთან მატჩებში?

— სასიამოვნოდ გამაკვირვა ჩვენმა ჭკვიანურმა თამაშმა. ჩვენმა ფეხბურთელებმა კიდევ იმიტომ მიაღწიეს წარმატებას, რომ საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი — გასახდელში, დერეფანში თუ ვარჯიშზე — თამაში მხოლოდ მატჩის დროს მინდორზე ბრძოლა როდია.

**დავით თავართქილაძე**



### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XXIII ტური**

ჯაზი 0:1 როვანიემი
ჰაამენლინა 2:3 ალიანსი
იარო 1:0 ტურკუ
მიუპა 1:1 ინტერი

ტრაპიზონულ და თბილისურ სანაკრებო მატჩებში სრულად და ჩვეული თავდაუზოგავობით ითამაშა მოსკოვის „დინამოს“ მცველმა ოთარ ხიზანეიშვილმა, რომელსაც გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ. ოთარს კლუბთან ერთად მსუბუქი ვარჯიშიც მოესწრო

# ჯგუფური თავისებურებანი
## ჩვენ ერთმანეთი გვიკვირდა და გვიყვარდა



ერთმანეთი გავამხნევეთ. შემართება დიდი იყო და არც შედეგი გამოვიდა ურიგო.

**— როგორ ფიქრობ, ჰასან შაშის გაძევების შემდეგ იყო მოგების შანსი?**

— მოგებაზე ფიქრამდე ჯერ ანგარიში იყო გასათანაბრებელი. თანაც თანამედროვე ფეხბურთში რიცხობრივი უპირატესობა გადამწყვეტი ფაქტორი აღარ არის. ეს ადრე იყო ასე. ხშირად ხდება, უმცირესობაში დარჩენილ გუნდს მობილიზაცია შემატებია და თავისი გაუტანია. მოკლედ, რაც გამოგვივიდა, ეგაა.

**— ბოლო წლებში ნაკრების თამაშზე პირველად იყო ანშლაგი...**

— მართლაც დიდი მხარდაჭერა გვქონდა. ჩვენი გულშემატკივარი გამარჯვებას ელოდა და იმაზე უფრო სასიამოვნო რაა, როდესაც შენს ხალხს გაახარებ. იმედს ვიტოვებ, სტადიონზე მობრუნებულ მაყურებელს აღარ გავაქცევთ.

**— შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ჟირესი სანახაობრივ ფეხბურთს შედეგზე თამაშს ამჯობინებს. ასეა?**

— მერე ვინ დასძრახავს ჟირესს ამისთვის?! მგონი, არა მარტო ჟირესი, არამედ მწვრთნელთა უმეტესობა სწორედ შედეგზეა ორიენტირებული. მთავარი მოგებაა, როგორ და რანაირად, ამას უკვე აღარავინ დაეძებს.

**— ჩვენი ჯგუფი ისეთია, რომ, მგონი, ქულების დაუგეგმავ დაკარგვას ვერც ერთი ნაკრები ვერ გადაურჩება...**

— რაღა შორს წავიდეთ, ალბანეთმაც დაამტკიცა, რომ ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს. ბოლოს და ბოლოს, მათ ევროპის ჩემპიონები დაამარცხეს და ჯგუფში კიდევ ბევრს გაამწარებენ. აგერ, ყაზახეთს ძლივს გადაურჩა უკრაინა. მოკლედ, ძალიან თავისებური ჯგუფია.

**— ბიჭები მშვენიერ გუნებაზე, იმედით დაემშვიდობეთ ერთმანეთს...**

— უჩვეულო ის იყო, რომ ერთმანეთის სახეებზე სიხარულს ვკითხულობდით. ყველას გვიყვარდა ერთმანეთი. ჟირესიც უბედნიერესი კაცი იყო.

**— წინ კი უკრაინაა, გულშემატკივარი ახლა ნაკრებისგან მხოლოდ წარმატებას ელის...**

— მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. მთავარია, გუნდური სული შევინარჩუნოთ, თავდაუზოგავად ვიბრძოლოთ. უკრაინელები აქცენტს სისწრაფეზე გააკეთებენ, მათ იმდენი ტექნიკა არ აქვთ, რაც თურქებს ან ალბანელებს. ვნახოთ, ალბათ ჟირესი მათ წინაამდეგაც შეარჩევს სწორ ტაქტიკას.

— ახლა უკვე ცივი გონებით ვაანალიზებ და ვაფასებ მომხდარს. სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ შენმა გუნდმა ყველაფერი გაიღო საიმისოდ, რათა თავისიც დაემტკიცებინა და გულშემატკივარიც გაეხარებინა.

**— „დინამოში“ დაბრუნებულს როგორ შეგხვდნენ თანაგუნდელები?**

— რა ვიცი, მგონი, გულწრფელად მომილოცეს ჩვენი ნაკრების წარმატება. თუმცა რას გაიგებ, ვისაც ეწყინა და...

**— შენი აზრით, მაინც რა შეიცვალა ნაკრებში ალენ ჟირესის მოსვლის შემდეგ, რომ შესარჩევი ჯგუფის ლიდერებად ვიქეცით?**

— თითქოს ბევრიც არაფერი შეცვლილა. ბევრად უფრო ერთსულოვანი გუნდი გავხდით. თითოეული ერთი მიზნისთვის იყო მომართული. ნაკრები ახლა ერთი ოჯახივითაა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ერთსულოვნებას მართლაც ძალიან ბევრი სასიკეთო მოუტანია, თუნდაც საბერძნეთის ნაკრების მაგალითი რად ღირს...**

— ბერძნებივით, ჩვენც ტრიუმფს შევძლებთ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ბევრის მიღწევა რომ შეგვიძლია, მჯერა.

**— თურქეთიდან ქულის წამოღება ძალიან ცოტას თუ სჯეროდა, რას ფიქრობდით, რას გრძნობდით თამაშამდე?**

— ბუნებრივია, დარწმუნებული არც ჩვენ ვიყავით, თუმცა გვჯეროდა, რომ თავს არ შევირცხვენდით. გასახდელიდან გამოსვლისას

**დავით ერაძე**

# წვიმა და გოლი სამოზით იყო



გაძევებამდე სულიკო დავითაშვილმა ორი გოლი გაიტანა

საქართველოს პირველი ლიგა · საქართველოს ჩემპიონატი · პირველი ლიგა · 16 · პირველი წრე · **4 ტური**

თბილისი. 9 სექტემბერი. 16 საათი. ფკ ამერის სკოლა. 150 მაყურებელი

## ამერი 3:0 ლოკომოტივი 2

1:0 სილაგავა (11), 2:0, 3:0 დავითაშვილი (40, 47)

**ამერი:** ნაჭყეპია, კედელაშვილი, ელბაქიძე, დავითნიძე, მჭედლიშვილი (შონია 59), კაიდარაშვილი (წინამძღვრიშვილი 78), დეკანოსიძე, დავითაშვილი, სევასტოპულო (ბუალავა 88), ხვადაგიანი, სილაგავა
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**ლოკომოტივი 2:** ჩალაძე, დემეტრაძე (კიკალიშვილი 46), მ. ღლენტი (ფირცხალავა 68), ლილუაშვილი (ი. ღლენტი 54), დავითულიანი, ხორავა, ბზიკაძე, სეთურიძე, მოწონელიძე, ფოფხაძე, თუთბერიძე
**მწვრთნელი:** გიორგი ქავთარაძე

**გაფრთხილება:** ელბაქიძე (17), თუთბერიძე (44), სევასტოპულო (86), ბზიკაძე (87)

**გაძევება:** დავითაშვილი (51)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; მ. ნაკაიძე, დ. კვეტენაძე; ა. ორდინიძე

**სოსო კოტორეიშვილი**

ეს სულ ასე უბერავს, გუშინ მხოლოდ სამჯერ დააგუგუნეს ფეხბურთის კლუბ ამერის სკოლის კოხტა სტადიონზე და გოლის აღნიშვნის ამ ამერული ტრადიციის მოსმენა-ხილვის საშუალება წინა ტურებისგან განსხვავებით ორჯერ ნაკლებ მოგვიხდა. შეგახსენებთ, პირველ ორ საშინაო მატჩში „ამერმა“ „ცხინვალი“ და „კახეთი“ 6:0 დაამარცხა, გუშინ კი მხოლოდ სამ უპასუხო გოლს დასჯერდა, თუმც „ლოკომოტივი 2“-თან მოპოვებულ ამ სამ ქულას ორმაგი ფასი აქვს. ჯერ ერთი, „ამერი“ 12 ქულით პირველი ლიგის უპირობო ლიდერი შეიქნა; მეორეც, გუშინ უმცირესობაში დარჩენილებმა მაინც იძალეს და სულიკო დავითაშვილის გაძევებამდე გატანილ სამ გოლს მატჩის დასრულებამდე დარჩენილ 43 წუთში მრავლად საგოლე მომენტიც მიაყოლეს.

ზემოთ ტრადიცია ვახსენეთ და, ამ ახალდაარსებული კლუბის საქმიანობაში სწორედ იმ ტრადიციების და საძირკვლის შექმნის სურვილი შეინიშნება, თანამედროვე და ევროპულ ინფრასტრუქტურაზე აწყობილი გუნდი რომ უნდა აშენდეს.

მთავარი კი სწორი ფეხბურთის თამაშის სურვილია. ანუ ქართულ გუნდთათვის დამახასიათებელი ბურთის განდაგან გორებაზე უარის თქმა, სისწრაფე და მწვრთნელის დავალებათა ზუსტად შესრულება.

გუშინდელი მატჩის პირველ თერთმეტ წუთში ამერელებმა სწორედ სისწრაფისა და ბურთის ერთი შეხებით წინ, ფორვარდებისკენ ზუსტი პასების წყალობით მოახერხეს მეტოქის მოედანზე გაბატონება და გოლმაც არ დაახანა — მოედნის ცენტრში ვახტანგ ხვადაგიანმა ლოკომოტიველთა კონტრშეტევა ჩაშალა, ფლანგზე გაჭრილ მჭედლიშვილს პასი არ დაუგვიანა, ჭაბუკი ნახევარმცველის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს კი გიორგი სილაგავა მოხდენილი დარტყმით შეეგება და ამერულ კარიერაში პირველი გოლიც მიითვალა.

„შავ-ყვითელთა“ მრავალგოლიანობას ნაჩვევი მაყურებელი ასეთი დასაწყისის მერე კიდევ ბევრ „ეს კი ასე უბერავს“ ელოდა, თუმც მე-40 წუთამდე გოლი და ნიკოლშოუ აღარ ყოფილა, არადა, „ამერის“ ცენტრალური ნახევარმცველები, ალექსანდრე კაიდარაშვილი და გიორგი დეკანოსიძე მახვილგონივრული პასებით კი ცდილობდნენ თამაშის გამწვავებას, სულიკო დავითაშვილსა და დავით სევასტოპულოსაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ ხან სტუმართა მეკარე ჩალაძე ყოჩაღობდა, ხანაც კარისკენ დარტყმულ ბურთს მცველები ელობებოდნენ.

მე-40 წუთზე კი ვერც ჩალაძემ და ვერც მცველებმა შეძლეს მასპინძელთა მრავალსვლიანი კომბინაციის შეჩერება და საჯარიმოში შეჭრილმა დავითაშვილმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვა — 2:0. სულიკო მეორე ტაიმის დაწყებისთანავეც გამოირჩა — ორ მცველთან ჭიდილში ივარგა და მეკარესთან პირისპირ შეყრილს გატანა არ გასჭირვებია. სამაგიეროდ, გოლიდან 4 წუთში ნერვების მოთოკვა გაუჭირდა, მეტოქის მცველის უხეშობას უხეშობითვე უპასუხა და არბიტრისგან წითელი ბარათიც იხილა. ამ ეპიზოდმა მოედანზე ვითარება დაძაბა, ფეხბურთელებმა ერთმანეთისკენაც გაიწიეს, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და თამაში კვლავ „ამერის“ შეტევებით განახლდა. ზემოთაც ვთქვით, ათკაცა მასპინძლებმა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვას კვლავ გონივრული შეტევები ამჯობინეს და მცირე შტურმიც კი მოაწყვეს ჩალაძის კართან — სევასტოპულოს დარტყმა მეკარემ მოიგერია, კაიდარაშვილის დამატებულ ბურთს კი მცველმა არ მისცა კარში შევარდნის საშუალება.

გიორგი ჩიხრაძეს შეცვლებმაც გაუმართლა — კაიდარაშვილის მაგივრად მოთამაშე რატი წინამძღვრიშვილის მოხდენილი თავური ერთ რამედ ღირდა, თუმც არც ლოკომოტიველთა გოლკიპერს უნდა დავუკარგოთ გარჯა. კარგად ჩაერთო თამაშში ილია შონიაც, რომლის ფლანგური გარღვევებიც ბევრ თავსატეხს უჩენდა სტუმართა დაცვას.

მოკლედ, „ამერმა“ კიდევ ერთი მატჩი მოიგო, დაკვირვებულ თვალს კი არ გამოეპარება, რომ გუნდი თამაშიდან თამაშამდე იმატებს გულშემატკივარს. გუშინ გლდანში შეკრებილი ქომაგობა ვერც სამგზის თავსხმამ და გამუდმებულმა ჭექა-ქუხილმა დააფრთხო. კარგი ფეხბურთის სანახავად არც გლდანში დაგეზარება წასვლა კაცს და არც ავდარს მოერიდები.

**ოლიმპი 1:1 ივერია**

**ბორჯომი 4:3 დინამო 2**

**მერანი 3:1 ჩიხურა**

**გურია 3:1 მაღაროელი**

**რუსთავი 3:0 საგარეჯო**

**კახეთი 1:0 ვიტ ჯორჯია**

**ცხინვალი — სპარტაკი**
დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 4 | 4 | 0 | 0 | 17:0 | 12 |
| ბორჯომი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:6 | 9 |
| კახეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:9 | 9 |
| გურია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| დინამო 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 11:8 | 6 |
| ჩიხურა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ცხინვალი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:7 | 4 |
| რუსთავი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| მერანი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ივერია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | [illegible] |
| მაღაროელი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | [illegible] |
| ოლიმპი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | [illegible] |
| საგარეჯო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:13 | 1 |
| ლოკომოტივი 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:14 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# მეფეს უჩქმიტეს

## რაც მტრობას დაუნგრევია, ბურთს ველარ უშენებია



თურქთა მეკარე რუშთუმ გატანა არც ანგელოს ხარისტიასს დაანება

REUTERS

საბერძნეთი 0:0 თურქეთი

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კაპსისი, ფისასი (პაპადოპულოსი 80), კარაგუნისი, იანაკოპულოსი (ცარტასი 80), კაცურანისი, ზაგორაკისი, ბასინასი, ხარისტიასი, ვრიზასი

**მწვრთნელი:** ოტო რეჰაგელი

**თურქეთი:** რუშთუ, სერქანი, დენიზი, იბრაჰიმი, სერვეთი, უმით ოზატი, ოკანი (ჩისმირი 73), ემრე, ფათიჰი (ალტინტოპი 90), ნიჰათი (სერჰათი 90), კარადენიზი

**მწვრთნელი:** ერსუნ იანალი

**გაფრთხილება:** ოკანი, ხარისტიასი, სერქანი, ემრე

**მსაჯი:** ანდერს ფრისკი (შვედეთი)

**33 000 მაყურებელი**

ათენში საბერძნეთმა და თურქეთმა ფეხბურთი დაივიწყეს და მოედანზე ფეხებით უბურთო ბრძოლა გააჩაღეს. ამიტომაც არ გამოვიდა საინტერესო მატჩი ორ ქვეყანას შორის, რომლებიც ერთმანეთს უკვე დიდი ხანია, მტრობენ. ამას თუ გავითვალისწინებთ, 0:0 ძალიან მშვიდობიანი შედეგია. მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებს მეტოქეების ფრე ხელს აძლევდა.

ტრაპიზონში ქართველებთან ნათამაშები 1:1-ის შემდეგ ერსუნ იანალს, ეტყობა, შეუჩიჩხინეს და ახალგაზრდა მწვრთნელმა ნაკრებში რამდენიმე კაცი შეცვალა. ძირითად შემადგენლობაში აღარ იყო ჰაკან შუქური, რომელზეც იანალი ამბობდა, შეუცვლელიაო. არადა, შუქურს ტრავმა არ აწუხებდა და გუნდს ათენში საქომაგოდ გაჰყვა.

გაძევებული ჰასან შაშის ადგილი „ტრაბზონსფორის" მეგოლე გოკდენიზ კარადენიზმა დაიკავა. ძირითად შემადგენლობაში იყო ნიჰათიც და ასეთი თერთმეტეულით ერსუნ იანალმა ათენში ფრის მიღწევა შეძლო. თურქებისთვის საბერძნეთიდან ქულის წაღება არანაკლებია, ვიდრე ჩვენთვის ტრაპიზონში გამოგლეჯილი ქულა.

რაკი ეს გუნდები ჯგუფში ქართველთა მეტოქეები არიან, უნდა შევნიშნოთ, რომ ორივემ ორ-ორი ქულა დაკარგა, რაც ჩვენთვის ხელსაყრელია.

ერთმანეთის ფეხებში ცემა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ნაღდი ფეხბურთი და ეს არცაა გასაკვირი, როცა ამ ორი ქვეყნის ნაკრებები ხვდებიან. ოტო რეჰაგელის ევროპის ჩემპიონმა გუნდმა ზედიზედ ორ შესარჩევ შეხვედრაში ოდენ ქულა მიითვალა.

„ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი, მიუხედავად იმისა, რომ ორ ტურში თამაში არ მოგვიგია. აღარ გავიმეორეთ ის შეცდომები, რაც ალბანეთთან გვქონდა, თუმც, სამწუხაროდ, შეტევაში კვლავაც გვიჭირდა" — თქვა ოტო რეჰაგელმა.

„ყველასთვის ცნობილია, თუ რას ნიშნავს ამ ორი ქვეყნის შეხვედრა, ამიტომ კმაყოფილი ვარ ათენში მოპოვებული ქულით. დროდადრო მოთამაშეებს ფეხბურთიც კი ავიწყდებოდათ. მიუხედავად ამისა, ყველაფერი კარგად დასრულდა" — თქვა თურქთა დამრიგებელმა ერსუნ იანალმა.

ბერძენმა ქომაგებმა ოტო რეჰაგელს, რომელიც მეფედ აღიარეს პორტუგალიაში მოპოვებული ევროოქროს შემდეგ, სტვენა აუტეხეს და შეიძლება მისი მოხსნაც კი მოითხოვონ.

**რომან თურქია**



ბერძენ-თურქთა მთელი თამაში ჭაჭგური და დაიჭი-არ გაუშვა იყო

REUTERS



ყაზახეთი მაგრად კი იდგა, მაგრამ ბოლოს მაინც უკრაინამ გაიხარა

REUTERS

# ალმათი მაინც უყაირათოდ დარჩა

## ყაზახეთში ექსკურსიაზე ნუ ჩამოხვალთ

ყაზახეთი 1:2 უკრაინა

0:1 ბელიკი (15), 1:1 კარპოვიჩი (35), 1:2 როტანი (90)

**ყაზახეთი:** ნოვიკოვი, ფამილცევი, ავდეევი, ირისმეტოვი, დუბინსკი, სმაკოვი (მუსინი 72), კარპოვიჩი, ბალტიევი, ჩიჩულინი (ურაზბახტინი 53), ნიზოვცევი, ტლეშევი (რადიონოვი 63)

**მწვრთნელი:** სერგეი ტიმოფეევი

**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, რუსოლი, ტიმოშჩუკი, იეზერსკი, ზაკარლიუკა, ბელიკი (შელაევი 90), გუსინი (როტანი 67), გუსევი, სტაროსტიაკი (ვორონინი 51), ვორობეი

**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი

**გაფრთხილება:** კარპოვიჩი

**მსაჯი:** პედრუ ალვეშ ოლივეირა (პორტუგალია)

**24 500 მაყურებელი**

91-ე წუთი: ანატოლი ტიმოშჩუკის ჯარიმიდან დარტყმული მეკარემ მოიგერია, დამატებაზე კი როტანმა ყველას დაასწრო და... უკრაინამ 2:1 მოიგო.

ასეთი მოულოდნელი ფინალი ჰქონდა ყაზახეთ—უკრაინის მატჩს.

ყაზახები მონდომებით ემზადებოდნენ საამმატჩოდ. ისინი ხომ პირველად თამაშობდნენ ევროპულ ზონაში.

დებიუტი უილბლო გამოდგა — აზიელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. ყაზახური ფეხბურთის მამებსაც ჯიბეზე ხელის გაკვრა არ დასჭირდათ — უკრაინის დამარცხების შემთხვევაში ხომ ყაზახ ფეხბურთელებს სოლიდური პრემიები ელოდათ.

თამაშამდე ორივე გუნდს უხვად პრობლემები ჰქონდა. მასპინძლებს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ანდრეი ფინონჩენკო და ყაზახური სუპერლიგის საუკეთესო ბომბარდირი არსენ ტლეხუგოვი აკლდნენ — ორივეს მწვრთნელთან უთანხმოების გამო მიუხურეს ნაკრების კარი. უკრაინას კი ანდრეი შევჩენკო ვერ დაეხმარა, რაზეც დღემდე დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. უკრაინელები შევჩენკოს ნაკრებისადმი გულგრილობაში ადანაშაულებენ.

მატჩი კი თანაბარი გამოდგა, მომენტები ორივე გუნდმა მრავლად შექმნა, თუმც განსაკუთრებით უკრაინელთა მეკარეს გაუჭირდა.

მასპინძლებმა უფრო აქტიურად კი დაიწყეს თამაში, მაგრამ მერე ბურთი სტუმრებმა გადაიბარეს. ეგ იყო, თვალსაჩინო უპირატესობა ვერა და ვერ მოიპოვეს.

პირველი გოლი მე-14 წუთზე გავიდა. ხიფათი თითქოს არსაიდან ჩანდა, თუმც ალექსეი ბელიკი მცველებს უეცრად დაუსხლტა და ზუსტადაც დაარტყა — 0:1.

მასპინძლებმა 35-ეზე გაათანაბრეს. მრავალსვლიანი კომბინაცია ანდრეი კარპოვიჩმა დააგვირგვინა და ალმათის ცენტრალური სტადიონიც ლამის დაინგრა.

მეორე ტაიმში უკრაინელებმა ტემპს უმატეს და შეტევებსაც უხშირეს, მაგრამ სიმწვავე მაინც არ იგრძნობოდა. შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ყაზახები ფრეზეც ყაბულს იყვნენ, რაც ოლეგ ბლოხინის გუნდს არანაირად არ აძლევდა ხელს და... ბედმა უკრაინელებს მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაუღიმა, რაზეც უკვე ვთქვით.

*ოლეგ ბლოხინი:* ყაზახეთის ნაკრებს კარგ თამაშს ვულოცავ. მოგება ძალიან გაგვიჭირდა. თუკი ჩვენი ჯგუფის სხვა გუნდები ფიქრობენ, რომ აქედან იოლად წაიღებენ სამ ქულას, ძალიან ცდებიან. ანდრეი შევჩენკომ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ამიტომაც დაგვაკლდა. მისი არყოფნა დღეს ძალიან დაგვეტყო.

*სერგეი ტიმოფეევი:* უკრაინა ჩვენზე ძლიერი გამოდგა. ბიჭებს რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ მაინც დავმარცხდით. ჩვენთან ვერავინ გაისეირნებს. ბოლომდე ვიბრძოლებთ და მჯერა, აუცილებლად დაგვიფასდება.

**ქახა შალამბერიძე**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. II ტური

## სულ ჩეხები ხომ არ მოიგებდნენ?



ედვინ ვან დერ სარი საუკეთესო იყო

### I ჯგუფი

**ჰოლანდია 2:0 ჩეხეთი**

1:0, 2:0 ვან ჰოიდონკი (33, 84)

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ჰეიტინგა, ოიერი, ნ. დე იონგი, სნეიდერი, ვან ბომელი, დავიდსი, ვან დერ ვაარტი (ბულარუზი 64), კუიტი, ვან ჰოიდონკი (ვან ბრონკჰორსტი 86), კასტელენი (მაკაი 74)

**ჩეხეთი:** ჩეხი, ჟირანეკი (გრიგერა 58), ბოლფი, უიფალუში, იანკულოვსკი, ჰაინცი, როსიცკი, ჰუბშმანი (ვახოუშეკი 62), ტისი (ლოკვენცი 76), ბაროში, კოლერი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

48 000 მაყურებელი

ჰოლანდიელებმა ჩეხებთან ევრო 2004-ის შესარჩევი წააგეს, ჩემპიონატზეც დამარცხდნენ და აი, როგორც იქნა, მსოფლიოს 2006 წლის პირველობის შესარჩევში გაიმარჯვეს. ეს, ნომინალურად, პიერ ვან ჰოიდონკის ორმა ზუსტმა, შედეგიანმა დარტყმამ მოიტანა. ვან ჰოიდონკმა ერთი ერთ ტაიმში შეაგდო, მეორე მეორეში და ამას მეკარე ვან დერ სარის ყოჩაღი თამაშიც დაემატა. ასე და ამგვარად, „ორანიეს“ ახალმა მწვრთნელმა, არცთუ ძალიან შორეულ წარსულში დიდებულმა თავდამსხმელმა მარკო ვან ბასტენმა დებიუტი შეირგო.

სხვათა შორის, ნაკრების სათავეში ვან ბასტენის მისვლა მთელ ჰოლანდიაში ყველას ისე გაეხარდა, რომ პირველი თამაშის წინ მწვრთნელის პასუხისმგებლობა ერთიორად გაიზარდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გუნდიდან რამდენიმე ვეტერანის წასვლამ და სხვათა ტრავმებმა ვან ბასტენს გუნდის შემადგენლობა გვარიანად შეაცვლევინა. მაგალითად, ზემოთ ევრო 2004-ის შესარჩევი ციკლი რომ ვახსენეთ, იმ ციკლის, ამსტერდამულ შეხვედრაში ამ ოთხშაბათის მატჩის მხოლოდ სამი მონაწილე თამაშობდა — ვან დერ სარი, ედგარ დავიდსი და ჯონი ჰეიტინგა.

გადახალისებული იყო ჩეხეთის ეროვნული გუნდის შემადგენლობაც: დაშავებულები იყვნენ პაველ ნედვედი, ტომაშ გალაშეკი და კარელ პობორსკი. ამ ცნობილი ფეხბურთელების მაგივრად კი თამაშობდნენ რომან ტისი, ტომაშ ჰუბშმანი და მარეკ ჰაინცი.

კარში პირველად ჰოლანდიელმა მარკ ვან ბომელმა დაარტყა, მაგრამ ბურთს ადგილზე მეკარე ჩეხი დახვდა, თუმცა დიდი ხანი არ იყო გასული, რომ „ორანიეს“ დაცვაში ნაპრალებმა გამოჰყო თავი და სტუმრებმა რომ ვერ გაიხარეს, ვან დერ სარის დამსახურება გახლავთ.

თუმცა ანგარიში 33-ე წუთზე მაინც მასპინძლებმა გახსნეს. რაფაელ ვან დერ ვარტმა ბურთი ვან ჰოიდონკს გადააწოდა, მან კი უპრობლემოდ შეაგდო.

მეორე ტაიმში ჩეხებმა ერთხელაც სერიოზულად მოიკრიბეს ძალა და 50-ე წუთზე გოლიათმა იან კოლერმა ძელსაც გაარტყა ბურთი, მაგრამ საბოლოოდ, მეორე გოლი მაინც სტუმრების კარში გავიდა და როგორც გითხარით კვლავ ვან ჰოიდონკმა შეაგდო.

**პაპუნა ძიძია**

**ანდორა 1:5 რუმინეთი**

0:1 ჩერნატი (1), 0:2 პანჩუ (5), 0:3 მ. ნიკულაე (16), 1:3 მ. პუიოლი (28პ), 1:4 მ. ნიკულაე (70), 1:5 პანჩუ (83)

გაძევება: ი. ლიმა (80, ანდორა)

რუმინეთმა მიჯრით მესამე შეხვედრაში იმარჯვა და ჯგუფის ლიდერი გახდა, თუმც ჰოლანდიას და ჩეხეთს ჯერ მხოლოდ თითო მატჩი აქვთ ნათამაშები.

ანგელ იორდანესკუს გუნდმა ანდორაში გაისეირნა და იქაურებს ხუთი გოლი აკმარა, რომელთაგან პირველი სხვებზე ლამაზი გამოდგა. კიევის „დინამოს“ ლეგიონერმა ფლორინ ჩერნატმა მცველებს ჩაურბინა, მეკარეს კი თავზე გადაავლო ბურთი, რომელიც კარში ჩაეშვა.

მერე დანიელ პანჩუმ და მარიუს ნიკულაემ სხვაობა სამამდე გაზარდეს, მაგრამ ტაიმის მიწურულს ანდორელმა მარკ პუიოლმა პენალტით ერთი გაქვითა. მსაჯმა ისედაც დაჩაგრული მასპინძლები მატჩის ბოლოს ათი კაცით დატოვა. მანამდე მეოთხე გოლის გატანა მარიუს ნიკულაემ მოასწრო, შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი დანიელ პანჩუმ ნიკულაეს დარად დუბლი გაახერხა.

**სომხეთი 0:2 ფინეთი**

0:1 ფორსელი (24), 0:2 ერიომენკო (67)

სომხეთმა ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგო და ანდორას მხოლოდ იმიტომ უსწრებს, რომ ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს. უკეთესი კი ამ შემთხვევაში არც ერთ გატანილ და ხუთ გაშვებულ გოლს ნიშნავს.

ფინეთი ერევანში მასპინძლებს კონტრშეტევებზე ჩაუსაფრდა და ორჯერ იხეირა. მიკაელ ფორსელმა ორი მცველი კოხტად ჩამოიშორა და საჯარიმოს ხაზიდან ბურთი კარში ჩააჭედა. მანვე ტაიმის მიწურულს უფრო ახლოდან ვერ გაიტანა, ხოლო არტურ პეტროსიანმა სტუმართა მეკარეს სამი მეტრიდან შეაწყვიტა ბურთი.

მეორე ტაიმში სომხებმა ერთი ხუთწუთიანი შტურმისმაგვარი მოუწყვეს ფინელებს, მაგრამ ამაოდ. საპასუხო კონტრშეტევისას გაფინელებულმა რუსმა ალექსეი ერიომენკომ დამხვდურები ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას გამოიჭირა და მარჯვენა დაბალ კუთხეში მშვიდად გაიტანა.

„ჩვენ კარგად დავიწყეთ და ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ მეტოქეს, თუმც გაშვებულმა გოლმა აგვერია“ — თქვა ნამატჩევს მასპინძელთა ფრანგმა მწვრთნელმა ბერნარ კაზონიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| ფინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| სომხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

9 ოქტომბერი

ჩეხეთი — რუმინეთი

ფინეთი — სომხეთი

მაკედონია — ჰოლანდია



დაძაბულ მატჩს შეხლა-შემოხლაც არ აკლდა

## პროხორენკოვსმა ლატვია სირცხვილს აარიდა

### III ჯგუფი

**პორტუგალია 4:0 ესტონეთი**

1:0 რონალდო (75), 2:0 პოსტიგა (84), 3:0 პაულეტა (87), 4:0 პოსტიგა (90)

**პორტუგალია:** რიკარდუ, პ. ფერეირა, ჟორჟე ანდრადე, რუი ჟორჟე (მ. მონტეირუ 56), რ. კარვალიუ, კოშტინია, მანიშე (პოსტიგა 46), დეკო, კ. რონალდო, სიმაო (ბოა მორტე 70), პაულეტა

**ესტონეთი:** პოომი, ალასი, იაგერი, პიიროია, როობა (კლავანი 46), ლეეტმა, ტეევერი (ვიიკმაე 64), რეიმი, ოპერი, ლინდპერე, ტერეხოვი (ზაჰოვაიკო 70)

მსაჯი: ბიულენთ დემირლეკი (თურქეთი)

27 000 მაყურებელი



პედრუ პაულეტამ ელდერ პოსტიგას დუბლი ჭიტლაყით მიულოცა

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ხუთ დღეში ორი შეხვედრა მოიგო ისე, რომ მის გუნდს გოლი არ გაუშვია. პორტუგალიელებმა ბალტიისპიერელებისგან ექვსი ქულა მოიმკეს და ჯგუფში მეორე ადგილზე არიან. აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატზე ულიმლამო თამაშის შემდეგ პედრუ პაულეტამ კვლავ გაიხსენა გოლის გემო. მან ლატვიასაც გაუტანა და ესტონეთსაც. სკოლარის შეგირდებს ესტონელთა ძლევა გაუჭირდათ, რადგან 75-ე წუთამდე სტუმართა დაცვა კარგად თამაშობდა. კრისტიანო რონალდომ ანგარიში დეკოს პასით გახსნა და დამხვდურებმა ამის შემდეგ გაილაღეს. მერე რონალდომ საგოლე პასი ელდერ პოსტიგას უბოძა, ხოლო პაულეტამ სხვაობა სამამდე გაზარდა. ესტონელებმა ბოლო წუთების შტურმსაც ვეღარ გაუძლეს და პოსტიგამ მეოთხეც მიაყოლა.

სკოლარიმ კი ნამატჩევს თქვა: „პირველ გოლამდე ჩემი გუნდი ჩიხში იყო. ბურთს კარში შესვლა არადა არ ეწადა. მალევე რომ გაგვეტანა, სულ სხვა თამაში წავიდოდა. მთლიანობაში კი კმაყოფილი ვარ, ორ შეხვედრაში დაგეგმილი ექვსი ქულა ავიღეთ, თუმც ჯერ კიდევ ათი მატჩი გველის“.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ლუქსემბურგი 3:4 ლატვია**

0:1 ვერპაკოვსკისი (4), 1:1 გ. ბრაუნი (10), 1:2 ზემლინსკისი (40პ), 2:2 ლეევეკი (55), 3:2 კარდონი (62), 3:3 ე. ჰოფმანი (65ს.კ.), 3:4 პროხორენკოვსი (67)

გასულ შაბათს შინ, პორტუგალიასთან მარცხის შემდეგ ლატვიას სტუმრად ლუქსემბურგთან მოგება სჭირდებოდა. მარის ვერპაკოვსკისმა მეოთხე წუთზე გახსნა კიდეც ანგარიში, მაგრამ ლუქსემბურგი კერკეტი კაკალი გამოდგა. გორდონ ბრაუნმა მალევე გაათანაბრა, თუმც მიხალის ზემლინსკისმა ტაიმის მიწურულს პენალტით ლატვია კვლავ დააწინაურა.

მეორე ნახევრის დაწყებიდან ჩვიდმეტ წუთში მასპინძლებმა მიჯრით ორი გაიტანეს: ჯერ ფონ ლეევეკმა ივარგა, მერე კი მანუელ კარდონიმ იხეირა საჯარიმო დარტყმიდან. ლატვიაც შეფუცხუნდა და მცველ ერიკ ჰოფმანის უიღბლობით გაათანაბრა. ჰოფმანმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ანდრეის პროხორენკოვსმა 67-ეზე ბალტისპირელები საბოლოოდ დააწინაურა, მან მცველთა უწესრიგობით ისარგებლა და ბესიჩს ახლოდან გაუტანა. ლუქსემბურგი მეტოქეს მიაწვა და ლატვიელებს მათი შეტევების მოგერიება 17 წუთში მიღებულ 5 ყვითელ ბარათად დაუჯდათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

**სლოვაკეთი 7:0 ლიხტენშტაინი**

1:0 ვიტეკი (15), 2:0 კარჰანი (42), 3:0, 4:0 ვიტეკი (59, 81პ), 5:0 ნემეტი (84), 6:0 მინტალი (85), 7:0 ზაბავნიკი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 11:2 | 7 |
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ესტონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | 0 |

9 ოქტომბერი

ლიხტენშტაინი — პორტუგალია

სლოვაკეთი — ლატვია

ლუქსემბურგი — რუსეთი

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. II ტური

# მოდი, ვნახოთ სამშობლო

## IV ჯგუფი

### ფარერები 0:2 საფრანგეთი

**0:1 ჟიული (32), 0:2 სისე (73)**
**ფარერები:** მიკელსენი, ს. ოლსენი, ტორსტეინსონი, ი. იაკობსენი, ო. იოჰანესენი, რ. იაკობსენი (ფლოტუმი 75), ი. იონსონი, კ. იორგენსენი (დანიელსენი 83), ბენიამინსენი, ე ბორგი, ფრედერიკსბერგი (ი. პეტერსენი 69)
**საფრანგეთი:** კუპე, გალასი, სკილაჩი, გივე, ევრა, პედრეტი, ვიეირა, ჟიული, პირესი, ანრი (დორასო 64), საა (ჯ. სისე 9)
**გაძევება:** ვიეირა (56)
**მსაჯი:** კრეიგ ალექსანდერი (შოტლანდია)
**6 000 მაყურებელი**

საფრანგეთის ნაკრებისა და ფარერის კუნძულების შეხვედრაში — რომელიც დასუსტებულმა ლურჯებმა 2:0 მოიგეს — მსაჯმა მოედნიდან პატრიკ ვიეირა გააძევა. გოლები ლუდოვიკ ჟიულიმ და შეცვლაზე შესულმა ჯიბრილ სისემ გაიტანეს. ბარემ აქვე ვთქვათ: სისე მოედანზე მე-9 წუთზევე შევიდა, მან ლუი საა შეცვალა, რომელსაც ტრავმის გამო ასე ნაადრევად მოუხდა მოედნის დატოვება. ვიერა კი 56-ე წუთზე ყალბი წაქცევისთვის დასაჯეს მეორე ყვითელი ბარათით, რაც მოგეხსენებათ, ავტომატურად წითელი გახლავთ. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ფრანგების პირველი გამარჯვება სტუმრად ჩატარებულ ბოლო ოთხ შეხვედრაში.

ერთი სიტყვით, 1998 წლის მსოფლიოსა და 2002 წლის ევროპის ჩემპიონებმა თავი მხოლოდ შედეგით უნდა დაიწყნარონ, თამაშის ხარისხი კი არაფრად უვარგოდათ.

და კიდევ ერთი: 1998 წლის ანუ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ ვიეირა მხოლოდ ლონდონის „არსენალის“ შემადგენლობაში ცხრაჯერ გააძევეს.

შევახსენებთ იმასაც, რომ ევრო 2004-ზე ნაწვნევი წარუმატებლობის შემდეგ ლურჯი ფორმა სამუდამოდ გაიხადეს ზინედინ ზიდანმა, ლილიან ტურამმა, მარსელ დესაიმ და ბიქსენტ ლიზარაზუმ, რაც (განსაკუთრებით ზიდანის გამოკლება) მეტისმეტად დააკლდა ფრანგთა გუნდს. ამის აშკარა დასტური გახლავთ ფარერელებთან თამაშის პირველი 20 წუთი, როდესაც მხოლოდ სირბილით და მუშაობით გამორჩეულმა კუნძულელებმა მეტოქეს ყოველმხრივ შემოარტყეს მარწუხები. მეტიც, როდესაც „ლურჯები“ წინ წასვლას ცდილობდნენ, ფარერელები კონტრშეტევით უფრთხობდნენ მორყეულ დაცვას.

ბოლოს, მაინც უფრო გამოცდილმა გუნდმა იმარჯვა. პირველი გოლი ასე გავიდა: რობერ პირესის დარტყმული მეკარე იაკუპ მიკელსენმა ხელში ვერ შეიმაგრა, ბურთი ჟიულიმ იხელთა და კარში შეაგდო. ამის შემდეგ გოლის შეგდება ტიერი ანრის შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული თავური ძელს მოხვდა, ხოლო საპირისპირო კართან როგვი იაკობსენმა კინალამ გააბედნიერა 6 ათასი მაყურებელი.

2:0, როგორც მოგახსენეთ სისემ გახადა და ამ ეპიზოდშიც, ჟიულიმ მიიღო მონაწილეობა, მან ჩააწოდა თავდამსხმელს.

მატჩის შემდგომ ფრანგების მწვრთნელმა, რაიმონ დომენეკმა განაცხადა:

„რაც დღეს ვნახე, იმან ძალიან შემაშინა. ფიზიკურ ორთაბრძოლებში გაცილებით მეტი ჟინი და სურვილი უნდა გამოგვემჟღავნებინა. როდესაც გუნდს თამაშის ამოწევის შნო არ აქვს, აუცილებლად პრობლემები ელის. დღეს ქვეყნის ჩემპიონატის შეხვედრა ხომ არ იყო. ის კი არა, დღეს არც ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა იყო, დღეს მეტი იყო, ის რაც სხვანაირ თავდადებას მოითხოვს.

...პირველი 15 წუთის განმავლობაში უბრალოდ გული კინალამ გამისკდა და იგივე კინალამ დამემართა, როდესაც მოედანზე ათნი დავრჩით. ფარერელებმა კი დაუნებებელი თამაშის მაგალითი გვაჩვენეს. ერთადერთი, რაც დღეს მიხარია სამი ქულაა, ეს მაინც არ დაგვიკარგავს“.

**პაპუნა ძედია**

### შვეიცარია 1:1 ირლანდია

**0:1 მორისონი (9), 1:1 ჰ. იაკინი (17)**
**შვეიცარია:** ცუბერბიულერი, ბ. ჰაასი, მ. იაკინი, პ. მიულერი, მანინი, კაბანასი, ფოგელი, ბარნეტა, ჰ. იაკინი, ა. რეი, ვონლანტენი (ლონფატი 73)
**ირლანდია:** გივენი, კარი, კანინგემი, ე. ობრაიენი, ფინანი, ე. რიდი (კავანაფი 73), როი კინი, კილბეინი, დაფი, რობი კინი, მორისონი (გ. დოჰერტი 84)
**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
**28 000 მაყურებელი**

კლინტონ მორისონის ზუსტი თავური ჰაკან იაკინმა მალე გაქვითა და მეტოქეებმა ქულები გაიყვეს. ამ მატჩში ბრწყინვალედ ითამაშა შეი გივენმა, რომელმაც შვეიცარიელთა არაერთი დარტყმული მოიგერია. გივენმა პირველი ტაიმის ხუთწუთიან მონაკვეთში ზედიზედ სამჯერ იხსნა სტუმრები. აღსანიშნავია, რომ მეკარეს ორჯერ როი კინის შეცდომის გამოსწორება მოუხდა, ხოლო კევინ კილბეინის შეცდომას მეკარემ ველარაფერი მოუხერხა, რადგან ჰაკან იაკინმა აჯობა და გაუტანა.

თავის მხრივ პასკალ ცუბერბიულერიც არ ყოფილა უსაქმოდ. მას რობი კინი გამუდმებით აწუხებდა, მაგრამ ცუბერბიულერი დუელიდან გამარჯვებული გამოვიდა, ოღონდ მასპინძელი მეკარე კლინტონ მორისონის თავურ დარტყმას ვერ შეეგება. მორისონმა დემიენ დაფის გამოზომილი პასით იხეირა.

### ისრაელი 2:1 კვიპროსი

**0:1 კონსტანტინუ (58), 1:1 ბენაიუნი (64), 2:1 ბადირი (74)**

საფრანგეთში აღებული ქულით გალაღებული ისრაელი კვიპროსს დაუხვდა და მიუხედავად იმისა, რომ კუნძულელებთან აგებდა, გამარჯვების გამოგლეჯვა შეძლო. სტუმარმა სტელიოს ოკარიდიოსმა პირველივე წუთზე ხელსაყრელი მომენტი გააცუდა, მასპინძელმა ავი ნიმნიმ კი ასეთივე უხეირო დარტყმით უპასუხა. რეალური ეპიზოდი ვერ გამოიყენა ომერ გილანმაც, მან ახლოდან თავი დაჰკრა ბურთს და კარის ჩარჩოს ააცილა.

„პანათინაიკოსის“ ფორვარდმა მიხალის კონსტანტინუმ ანგარიში მეორე ტაიმში გახსნა. მან დამხვდურ მცველთა არეულობით ისარგებლა და შესარჩევ ციკლში კვიპროსელთა პირველი გოლი გაიტანა. ორი წუთის შემდეგ სტავროს გეორგიუმ მეორე შეაგდო, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო გააუქმა.

64-ეზე სანტანდერის „რასინგის“ ლეგიონერმა იოსი ბენაიუნმა საამო გოლი მიითვალა — მოძრაობა გვერდითი ხაზიდან დაიწყო, ექვს მეტოქეს გასცდა და ბურთი კარში შეჭედა. იშტაზე მოსული ისრაელი იქვე დაწინაურდა — ვალიდ ბადირმა დრორ კატანის ჩაწოდებულ ბურთს დაუხვედრა თავი და „რამათ განის“ სტადიონზე შეკრებილმა 20 ათასამდე ქომაგმაც გაიხარა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 4 |
| ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კვიპროსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |

**9 ოქტომბერი**
**საფრანგეთი — ირლანდია**
**ისრაელი — შვეიცარია**
**კვიპროსი — ფარერები**



კლუბში წითელს „შეჩვეული“ პატრიკ ვიეირა სანაკრებო თამაშზეც გააგდეს



მოლდოველებმა იტალიელები გვარიანად ანერვიულეს

# მშვენიერი „მხოლოდ 1:0“

## V ჯგუფი

### მოლდოვა 0:1 იტალია

**0:1 დელ პიერო (32)**
**მოლდოვა:** ხმარუკი, ლუნგუ, ლაშენკოვი, ოლექსიკი, კატინსუსი, პრიგანიუკი, კოვალჩუკი, ს. ივანოვი, როგაჩოვი (ჩებოტარი 81), ბურსუკი, მიტერევი (დადუ 62)
**იტალია:** ბუფონი, ბონერა (ბლაზი 84), ნესტა, მატერაცი, ძამბროტა, დიანა, გატუზო, პირლო, ამბროზინი (ოდო 74), დელ პიერო, ჯილარდინო (ტონი 80)
**გაძევება:** დადუ (77)
**მსაჯი:** მიხალ ბენეში (ჩეხეთი)
**20 000 მაყურებელი**

მარჩელო ლიპი აღასტურებს, რომ მოლდოვაში გამარჯვებას მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის თამაშს უნდა უმადლოდეს, ხოლო იტალიელი ფეხბურთელები მიიჩნევენ, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ძალღონისა და ყურადღების მოკრების წყალობით დაამარცხეს.

„გული იმაზე მწყდება, რომ თამაშის ბედის გადაწყვეტა მის დასაწყისშივე ვერ შევძელით. არადა, გოლის გატანის შესაძლებლობები ნამდვილად გვქონდა. ამიტომაც მოგვიწია შემდეგ დიდი რისკისა და ხიფათის გადატანა: ხოლო ამ ხიფათს რომ გადავურჩით, ბუფონს უნდა ვუმადლოდეთ. მეკარემ დიდებულად მოიგერია უძნელესი დარტყმები“ — განაცხადა ლიპიმ.

პირველ ტაიმში ბურთი ძელს გაარტყა ალესანდრო დელ პიერომ, ხოლო აიმო დიანამ ორი აშკარა საგოლე შანსი გაანიავა. საბოლოოდ, სწორედ ამის ბრალიც იყო, რომ მატჩის მიწურული იტალიელებისთვის სათუო გამოვიდა.

„შაბათს თამაშის შემდეგ, ის რაც მოლდოვაში ვაჩვენეთ ცუდი თამაში მაინც არ იყო. სამომავლოდ მასზე დაყრდნობა შეიძლება. ძალიან მნიშვნელოვანი იყო დელ პიეროს გოლიც, თუმცა ამ გოლის გატანა ასევე ძალიან თვითონ დელ პიეროს სჭირდებოდა, მან ხომ ძნელი პერიოდი გადაიარა“ — დასძინა მწვრთნელმა.

ამრიგად იტალიელებს ახლა ორი თამაშიდან ორი მოგება აქვთ და აღსანიშნავია, რომ ამას ფრანჩესკო ტოტის, ანტონიო კასანოს და კრისტიან ვიერის არყოფნაში მიაღწიეს. ის კი არა, უკვე გაჩნდა შეკითხვა, სად წაიყვანს ლიპი ამ ფეხბურთელებს, როდესაც გამოჯანმრთელდებიან და მოედანს დაუბრუნდებიან?

„ჯერჯერობით მოდით ამ ორი გამარჯვებით გავიხაროთ და შემდეგ ვნახოთ, რა და როგორ იქნება. მე ის ვიცი, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელი ზედმეტი ვერასადროს იქნება“ — განმარტა მწვრთნელმა.

დელ პიერომ კი მატჩის ერთადერთი გოლი 32-ე წუთზე გაიტანა, როდესაც ალბერტო ჯილარდინომ ორ მოლდოველ მცველს აჯობა და ბურთი კაპიტანს გადააწოდა, ალექსმა მარცხენა ფეხით დაბალი, მოზომილი დარტყმით შეაგდო მოლდოველთა კარის ბადეში. ეს 2003 წლის ივლისის შემდეგ დელ პიეროსთვის თამაშიდან (არა პენალტი და არა ჯარიმა) გატანილი პირველი გოლია.

ჯანლუიჯი ბუფონი: „თანამედროვე ფეხბურთში იოლი თამაშები აღარ არსებობს, თუმცა ერთ-ორ მომენტში იმაზე მეტად გაგვიჭირდა ვიდრე უნდა გაგვჭირვებოდა. მეც კარგად ვითამაშე, მაგრამ ბედმაც გაგვიღიმა. თავს ჩინებულად ვგრძნობ, რადგან ჩემი მოვალეობა შევასრულე. როდესაც შეხვედრიდან გაშვებული გოლით გავდივარ, ცუდ გუნებაზე ვარ“.

აღსანიშნავია, რომ იტალიური პრესა მოლდოვას ღირსეულ მოწინააღმდეგედ არ მიიჩნევდა და ბუნებრივია, მხოლოდ 1:0-მა უკმაყოფილო დასტოვა.

აიმო დიანა: „დამხმარე თავდამსხმელის როლს დაუჩვეველი ვარ. ამ საქმეს გემო უფრო მეორე ტაიმში გავუგე, მატჩის წინ გაზეთები ისე წუხდნენ, თითქოს სავარჯიშო შეხვედრისთვის ვემზადებოდით, მაგრამ ამის გამო რამდენჯერმე მწარედ დავსჯილვართ და ძველ შეცდომას ველარ გავიმეორებდით. მე მატჩის წინ ჩვეულებისამებრ ვნერვიულობდი, რადგან ვიცი, რომ თავისი წილი სიურპრიზები ნებისმიერ გუნდს აქვს, მით უფრო მაშინ, როდესაც შენ მობილიზებული არ ხვდები. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ შესარჩევ ციკლს ორი გამარჯვებით ათასში ერთხელ ვიწყებთ ხოლმე, ხოლო წინ უმძიმესი მატჩები გველის“.

**პაპუნა ძედია**

### ნორვეგია 1:1 ბელარუსი

**1:0 რისეტი (39), 1:1 კუტუზოვი (78)**
**ნორვეგია:** მირე, ჰოილანდი, რისეტი, ლუნდეკვამი, რიისე, ანდრესენი, ჰოსეტი, რუდი (ი. სორენსენი 46), ფ. იონსენი, მ. პედერსენი, რუშფელდტი (კარეუ 81)
**ბელარუსი:** ხომუტოვსკი, კულჩი, იასკოვიჩი, ომელიანჩუკი, შტანიუკი, გურენკო, ლავრიკი, ბულიჰა (საშჩეკა 63), რომაშჩენკო, ვ. გლები (ბლიზნიუკი 44; სუჩკოვი 90), კუტუზოვი
**მსაჯი:** პაულუ კოშტა (პორტუგალია)
**28 272 მაყურებელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. II ტური

მეტოქეებმა თითო ქულა გაიყვეს, ორივე გოლი კი სტანდარტული მდგომარეობიდან გავიდა. ეს გუნდები ბოლო ათი წლის განმავლობაში მეხუთედ შეხვდნენ ერთმანეთს. ევრო 96-ის შესარჩევში სკანდინაველებმა შინ და გარეთ ორჯერვე იძალეს — 1:0 და 4:0. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციოში ბელარუსებმა მინსკში მოიგეს, ხოლო სტუმრად ფრეს მიაღწიეს.

ამჯერად, მეხუთე დაპირისპირების წინ, სლავებს ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი აკლდათ: „შტუტგარტის" ლეგიონერი ალექსანდრ გლები დისკვალიფიცირებული იყო, ხოლო კიევის დინამოელი ვალენტინ ბელკევიჩი — ტრავმირებული.

ნორვეგიელმა მორტენ პედერსენმა პირველი ტაიმის შუაში ბურთი ძელს გაარტყა, ხოლო შესვენებამდე ექვსი წუთით ადრე ვიდარ რისეტმა ანგარიში გახსნა. მან კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს შვიდიოდ მეტრიდან ადგილი სტუმართა კარში მიუჩინა.

ბელარუსებმა მეორე ნახევარში გაათანაბრეს. კუთხურის ალმის სიახლოვიდან მიროსლავ რომაშჩენკომ ჩააწოდა, ახლო ძელთან ჩასაფრებულმა ვიტალი კუტუზოვმა კი თავი საგოლედ შეაგება.

მასპინძელ კლაუს ლუნდეკვამს მატჩის მიწურულს ორი ხელსაყრელი მომენტი კი ჰქონდა, მაგრამ ჯერ კარიდან სამ მეტრში ბურთს ფეხი ააცილა, ხოლო შემდეგ ერთი მეტრიდან მისი თავდაკრული ბურთი ხარიხას გადაევლო.

**ვაჟა ხუციშვილი**

### შოტლანდია 0:0 სლოვენია

**შოტლანდია:** გორდონი, გ. კოლდუელი, ვებსტერი, მაკკეი, ნეისმიტი (მოლტი 59), მაკნამარა, ბ. ფერგიუსონი, ქუოში, ფლეტჩერი, მაკფადენი, დიკოვი (კროუფორდი 79)
**სლოვენია:** ბ. მავრიჩი, კარიჩი, მ. მავრიჩი, კნავსი, შილიაკი (ლავრიჩი 63), ნ. ჩეჰი, კომაცი, პოკორნი, შეშლარი, აჩიმოვიჩი, დედიჩი (მუკალო 78)
**მსაჯი:** კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
38 278 მაყურებელი

სლოვენიას, რომელმაც გასულ უქმეებზე მოლდოვა მილენკო აჩიმოვიჩის ჰეთ თრიქით დაჩოქა, გლაზგოში ძალიან გაუჭირდა, რაკი შოტლანდიელები გულიანად უტევდნენ. სქოთებმა განსაკუთრებით პირველ ტაიმში მოინდომეს და მეკარე ბორუტ მავრიჩი გვარიანად დაასაქმეს, თუმც სლოვენიელმა იყოჩაღა. შესვენებამდე ორი სადავო ეპიზოდიც იყო, როცა შოტლანდიელები პენალტს ითხოვდნენ, ანდრეი კომაცმა ჯეიმს მაკფადენს მაისურაზე დაქაჩა. იგივე განმეორდა მოგვიანებითაც: ამჯერად სიმონ შეშლარმა გარი კოლდუელის სამოსი მოსინჯა, მაგრამ მსაჯმა კლაუს- ბო ლარსენმა ორჯერვე წაუყრუა.

მეორე ნახევარში სლოვენიელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ და მასპინძელთა მეკარისა და მცველის შეუთანხმებლობის შედეგად ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ — გორდონი მაკკეის შეეჯახა და კარი ცარიელი დარჩა, მაგრამ სტუმრებმა ამით ვერ იხეირეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

9 ოქტომბერი
ბელარუსი — მოლდოვა
შოტლანდია — ნორვეგია
სლოვენია — იტალია

## ხმალაობა მილენიუმზე

**VI ჯგუფი**

### პოლონეთი 1:2 ინგლისი

0:1 დეფო (37), 1:1 ჟურავსკი (48), 1:2 გლოვაცკი (58ს.კ.)
**პოლონეთი:** დუდეკი, მილა (კუკიელკა 63), რჟასა, ჟევლაკოვი, გლოვაცკი, ბაკი, კოსოვსკი (გორავსკი 80), კრჟინოვეკი, ჟურავსკი, ლევანდოვსკი, რასიაკი (ნიდზილანი 69)
| 5331 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 1,75 | 1,85 |
| 5332 | პორტსმუთი-კრისტალ პალასი | 1,75 | 1,85 |
| 5333 | ტოტენჰემი-ნორვიჩი | 1,75 | 1,85 |
| 5334 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 5335 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 1,6 | 2,0 |
| 5336 | ვოლფსბურგი-შალკე | 1,6 | 2,0 |
| 5337 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5338 | მაინცი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5339 | ბაიერნი-არმინია | 1,85 | 1,75 |
| 5340 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 5341 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 5342 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5343 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 1,6 | 2,0 |
| 5344 | კიევო-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5345 | მილანი-ლივორნო | 1,9 | 1,7 |
| 5346 | ატალანტა-ლეჩე | 1,65 | 1,95 |
| 5347 | ბრეშა-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5348 | კალიარი-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5349 | პალერმო-სიენა | 1,75 | 1,85 |
| 5350 | პარმა-მესინა | 1,7 | 1,9 |
| 5351 | რეჯინა-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 5352 | რომა-ფიორენტინა | 1,65 | 1,95 |
| 5353 | სამპდორია-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5354 | ბილბაო-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5355 | ბარსელონა-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 5357 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| 5358 | ბეტისი-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5359 | ხეტაფე-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5360 | ლევანტე-რასინგი | 1,65 | 1,95 |
| 5361 | მალაგა-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5362 | ვილიარეალი-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 5363 | ალბასეტე-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| № | მატჩი | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|---|
| 5225 | ასტონ ვილა-ჩელსი | 1,75 | 1,85 |
| 5226 | ბოლტონი-მანჩესტერი | 1,8 | 1,8 |
| 5227 | ფულემი-არსენალი | 1,95 | 1,65 |
| 5228 | ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი | 1,95 | 1,65 |
| 5229 | სიტი-ევერტონი | 1,9 | 1,7 |
| 5230 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5231 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 1,9 | 1,7 |
| 5232 | პორტსმუთი-კრისტალ პალასი | 1,85 | 1,75 |
| 5233 | ტოტენჰემი-ნორვიჩი | 1,85 | 1,75 |
| 5234 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 1,8 | 1,8 |
| 5235 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2,0 | 1,6 |
| 5236 | ვოლფსბურგი-შალკე | 1,95 | 1,65 |
| 5237 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,95 | 1,65 |
| 5238 | მაინცი-ლევერკუზენი | 2,1 | 1,55 |
| 5239 | ბაიერნი-არმინია | 2,3 | 1,45 |
| 5240 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1,95 | 1,65 |
| 5241 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 5242 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 1,95 | 1,65 |
| 5243 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 1,65 |
| 5244 | კიევო-ინტერი | 1,8 | 1,8 |
| 5245 | მილანი-ლივორნო | 2,0 | 1,6 |
| 5246 | ატალანტა-ლეჩე | 1,7 | 1,9 |
| 5247 | ბრეშა-იუვენტუსი | 1,8 | 1,8 |
| 5248 | კალიარი-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 5249 | პალერმო-სიენა | 1,75 | 1,85 |
| 5250 | პარმა-მესინა | 1,8 | 1,8 |
| 5251 | რეჯინა-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5252 | რომა-ფიორენტინა | 1,9 | 1,7 |
| 5253 | სამპდორია-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 5254 | ბილბაო-ვალენსია | 1,7 | 1,9 |
| 5255 | ბარსელონა-სევილია | 1,95 | 1,65 |
| 5256 | რეალი-ნუმანსია | 2,4 | 1,4 |
| 5257 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,85 | 1,75 |
| 5258 | ბეტისი-ესპანიოლი | 1,7 | 1,9 |
| 5259 | ხეტაფე-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 5260 | ლევანტე-რასინგი | 1,75 | 1,85 |
| 5261 | მალაგა-სარაგოსა | 1,8 | 1,8 |
| 5262 | ვილიარეალი-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 5263 | ალბასეტე-ატლეტიკო | 1,7 | 1,9 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ხორვატია. 1.HNL. VII ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 18.30 | 484 | ვარტექსი-რიეკა | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 18.30 | 485 | ზადარი-ზაგრები | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.30 | 486 | ოსიეკი-ინტერი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 18.30 | 487 | კამენი-პულა | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 18.30 | 488 | სლავენი-მედიმურიე | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 22.30 | 489 | დინამო-ჰაიდუკი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | I ლიგა. V ტური | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 22.00 | 498 | კრაკოვია-გურნიკი | 2,1 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,55 |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 499 | კატოვიცე-ლეჩნა | 2,15 | 3,1 | 3,0 | 1,26 | 1,25 | 1,52 |
| 20.00 | 500 | პლოცკი-პოლონია | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 20.15 | 501 | ამიკა-გროცლინი | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,25 | 1,49 |
| 20.00 | 502 | ოდრა-ლეგია | 3,5 | 3,1 | 1,9 | 1,64 | 1,23 | 1,17 |
| 20.00 | 503 | ზაგლებე-ლეხი | 2,3 | 3,1 | 2,7 | 1,32 | 1,24 | 1,44 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 19.00 | 504 | პოგონი-ვისლა | 5,0 | 3,5 | 1,55 | 2,05 | 1,18 | 1,07 |

## ფორმულა 1. იტალია. 11 სექტემბერი (12.00)

| | 8001 გამარჯვებული | 8101 სამეული | 8201 ექვსეული | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,3 | 1,05 | 1,02 | 1,35 |
| ბარიკელო | 6,5 | 1,5 | 1,1 | 4,0 |
| მონტოია | 12,0 | 2,5 | 1,18 | 7,0 |
| პიცონია | 50,0 | 7,0 | 1,6 | 25,0 |
| კულტჰარდი | 20,0 | 4,0 | 1,3 | 15,0 |
| რაიკონენი | 6,5 | 1,5 | 1,1 | 5,0 |
| ტრული | 15,0 | 2,7 | 1,2 | 12,0 |
| ალონსო | 11,0 | 2,45 | 1,18 | 10,0 |
| ბატონი | 10,0 | 2,0 | 1,15 | 6,0 |
| სატო | 30,0 | 4,8 | 1,4 | 20,0 |
| ფიზიკელა | 75,0 | 16,0 | 2,7 | 30,0 |
| მასა | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| უებერი | 100,0 | 20,0 | 3,0 | 40,0 |
| კლიენი | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| ზონტა | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| პანისი | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| პაილფელდი | 250,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| პანტანო | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| ბრუნი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5025 | ასტონ ვილა-ჩელსი | 4,4 | 2,05 | 2,35 | 1,39 | 1,53 | 1,09 |
| 5026 | ბოლტონი-მანჩესტერი | 4,6 | 2,05 | 2,3 | 1,41 | 1,53 | 1,08 |
| 5027 | ფულემი-არსენალი | 5,6 | 2,3 | 1,85 | 1,63 | 1,39 | 1,02 |
| 5028 | ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5029 | სიტი-ევერტონი | 2,3 | 2,05 | 4,6 | 1,08 | 1,53 | 1,41 |
| 5030 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 2,3 | 2,05 | 4,6 | 1,08 | 1,53 | 1,41 |
| 5031 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 2,05 | 2,1 | 5,6 | 1,03 | 1,5 | 1,52 |
| 5032 | პორტსმუთი-კრისტალ პალასი | 2,05 | 2,15 | 5,3 | 1,04 | 1,47 | 1,52 |
| 5033 | ტოტენჰემი-ნორვიჩი | 1,9 | 2,2 | 6,0 | 1,01 | 1,44 | 1,6 |
| 5034 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5035 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 3,5 | 2,05 | 2,7 | 1,29 | 1,52 | 1,16 |
| 5036 | ვოლფსბურგი-შალკე | 2,7 | 2,05 | 3,5 | 1,16 | 1,52 | 1,29 |
| 5037 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2,0 | 2,15 | 5,6 | 1,03 | 1,47 | 1,55 |
| 5038 | მაინცი-ლევერკუზენი | 4,4 | 2,05 | 2,35 | 1,39 | 1,53 | 1,09 |
| 5039 | ბაიერნი-არმინია | 1,3 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,57 |
| 5040 | ბოხუმი-დორტმუნდი | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 5041 | ნიურნბერგი-ჰერტა | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 5042 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 2,3 | 2,05 | 4,6 | 1,08 | 1,53 | 1,41 |
| 5043 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 2,05 | 4,6 | 1,08 | 1,53 | 1,41 |
| 5044 | კიევო-ინტერი | 5,0 | 2,1 | 2,15 | 1,47 | 1,5 | 1,06 |
| 5045 | მილანი-ლივორნო | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,83 |
| 5046 | ატალანტა-ლეჩე | 2,45 | 2,0 | 4,2 | 1,1 | 1,54 | 1,35 |
| 5047 | ბრეშა-იუვენტუსი | 4,8 | 2,05 | 2,25 | 1,43 | 1,53 | 1,07 |
| 5048 | კალიარი-ბოლონია | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5049 | პალერმო-სიენა | 2,15 | 2,1 | 5,0 | 1,06 | 1,5 | 1,47 |
| 5050 | პარმა-მესინა | 1,85 | 2,2 | 6,5 | 1 | 1,44 | 1,64 |
| 5051 | რეჯინა-უდინეზე | 3,2 | 1,95 | 3,2 | 1,21 | 1,6 | 1,21 |
| 5052 | რომა-ფიორენტინა | 2,0 | 2,1 | 6,0 | 1,02 | 1,5 | 1,55 |
| 5053 | სამპდორია-ლაციო | 2,5 | 2,0 | 4,0 | 1,11 | 1,53 | 1,33 |
| 5054 | ბილბაო-ვალენსია | 3,4 | 2,05 | 2,8 | 1,27 | 1,53 | 1,18 |
| 5055 | ბარსელონა-სევილია | 1,7 | 2,5 | 6,0 | 1,01 | 1,32 | 1,76 |
| 5056 | რეალი-ნუმანსია | 1,2 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,04 |
| 5057 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1,35 | 1,71 |
| 5058 | ბეტისი-ესპანიოლი | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5059 | ხეტაფე-მალიორკა | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 5060 | ლევანტე-რასინგი | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5061 | მალაგა-სარაგოსა | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5062 | ვილიარეალი-სოსიედადი | 2,25 | 2,1 | 4,6 | 1,08 | 1,51 | 1,44 |
| 5063 | ალბასეტე-ატლეტიკო | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5425 | ასტონ ვილა-ჩელსი | 2,1 | 1,75 |
| 5426 | ბოლტონი-მანჩესტერი | 2,1 | 1,75 |
| 5427 | ფულემი-არსენალი | 2,8 | 1,45 |
| 5428 | ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი | 1,3 | 3,4 |
| 5429 | სიტი-ევერტონი | 1,7 | 2,2 |
| 5430 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1,7 | 2,2 |
| 5431 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 1,5 | 2,6 |
| 5432 | პორტსმუთი-კრისტალ პალასი | 1,5 | 2,6 |
| 5433 | ტოტენჰემი-ნორვიჩი | 1,45 | 2,8 |
| 5434 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 1,75 | 2,1 |
| 5435 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2,0 | 1,8 |
| 5436 | ვოლფსბურგი-შალკე | 1,85 | 1,95 |
| 5437 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,5 | 2,6 |
| 5438 | მაინცი-ლევერკუზენი | 2,1 | 1,75 |
| 5439 | ბაიერნი-არმინია | 1,15 | 4,4 |
| 5440 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1,9 | 1,9 |
| 5441 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1,85 | 1,95 |
| 5442 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 1,7 | 2,2 |
| 5443 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 2,2 |
| 5444 | კიევო-ინტერი | 2,4 | 1,6 |
| 5445 | მილანი-ლივორნო | 1,1 | 5,0 |
| 5446 | ატალანტა-ლეჩე | 1,75 | 2,1 |
| 5447 | ბრეშა-იუვენტუსი | 2,3 | 1,65 |
| 5448 | კალიარი-ბოლონია | 1,85 | 1,95 |
| 5449 | პალერმო-სიენა | 1,55 | 2,5 |
| 5450 | პარმა-მესინა | 1,4 | 3,0 |
| 5451 | რეჯინა-უდინეზე | 1,9 | 1,9 |
| 5452 | რომა-ფიორენტინა | 1,5 | 2,6 |
| 5453 | სამპდორია-ლაციო | 1,8 | 2,0 |
| 5454 | ბილბაო-ვალენსია | 2,0 | 1,8 |
| 5455 | ბარსელონა-სევილია | 1,3 | 3,4 |
| 5456 | რეალი-ნუმანსია | 1,1 | 5,0 |
| 5457 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,3 | 3,4 |
| 5458 | ბეტისი-ესპანიოლი | 1,75 | 2,1 |
| 5459 | ხეტაფე-მალიორკა | 1,85 | 1,95 |
| 5460 | ლევანტე-რასინგი | 1,8 | 2,0 |
| 5461 | მალაგა-სარაგოსა | 1,8 | 2,0 |
| 5462 | ვილიარეალი-სოსიედადი | 1,65 | 2,3 |
| 5463 | ალბასეტე-ატლეტიკო | 1,9 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5125 | ასტონ ვილა-ჩელსი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 5126 | ბოლტონი-მანჩესტერი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5127 | ფულემი-არსენალი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,1 |
| 5128 | ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5129 | სიტი-ევერტონი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5130 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5131 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5132 | პორტსმუთი-კრისტალ პალასი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5133 | ტოტენჰემი-ნორვიჩი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5134 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5135 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5136 | ვოლფსბურგი-შალკე | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5137 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5138 | მაინცი-ლევერკუზენი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 5139 | ბაიერნი-არმინია | 1,4 | 20,0 | 50,0 | 3,5 | 6,5 | 18,0 | 25,0 | 18,0 | 18,0 |
| 5140 | ბოხუმი-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5141 | ნიურნბერგი-ჰერტა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5142 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5143 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5144 | კიევო-ინტერი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5145 | მილანი-ლივორნო | 1,3 | 20,0 | 50,0 | 3,5 | 7,0 | 20,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 |
| 5146 | ატალანტა-ლეჩე | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5147 | ბრეშა-იუვენტუსი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5148 | კალიარი-ბოლონია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5149 | პალერმო-სიენა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5150 | პარმა-მესინა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5151 | რეჯინა-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5152 | რომა-ფიორენტინა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5153 | სამპდორია-ლაციო | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5154 | ბილბაო-ვალენსია | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5155 | ბარსელონა-სევილია | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5156 | რეალი-ნუმანსია | 1,3 | 20,0 | 50,0 | 3,5 | 7,0 | 25,0 | 25,0 | 22,0 | 22,0 |
| 5157 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5158 | ბეტისი-ესპანიოლი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5159 | ხეტაფე-მალიორკა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5160 | ლევანტე-რასინგი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5161 | მალაგა-სარაგოსა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5162 | ვილიარეალი-სოსიედადი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5163 | ალბასეტე-ატლეტიკო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

# მობილური კაცი

## ემზარ ზენაიშვილს ოლიმპიური სიმშვიდისთვის არ სცალია

**ამა და ამ ადგილზე**, ამა და ამ დროს, გთხოვთ მეწვიოთ დაბადების დღესთან დაკავშირებულ ვახშამზეო, მოკრძალებით ეწერა მოსაწვევ ბარათში. თურმე უბრალოდ დაბადების დღე კი არა, საიუბილეო თარიღი ჰქონია. ჰოდა, კაცს რომ თარიღი დაუმრგვალდება, ალბათ თავის განვლილ ცხოვრებასაც იხსენებს, გასახსენებელი კი ბევრი აქვს ემზარ ზენაიშვილს. მან, როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და ჟურნალისტმა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ლამის მთელი დედამიწა შემოიარა, დაესწრო არაერთ დიდ და გამორჩეულ შეჯიბრებას, შეხვდა და ესაუბრა მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავებს, საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ლიდერებს, ცნობილ და პოპულარულ ბიზნესმენებს, პოლიტიკოსებს, მათ შორის ამა თუ იმ ქვეყნის პირველ პირებს...

მაგრამ ჩვენმა იუბილარმა გვითხრა, ეს ბოლო თვეები ისეთ გაწამაწიაში ვარ, ამის გასახსენებლად სად მცალია — ჯერ ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ორგანიზაციული საკითხებიო, მერე თავად ოლიმპიადაო, ახლა კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 15 წლის საიუბილეო თადარიგიო, მერე კი ჩვენი ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო სესიის მომზადებაო...

და მაინც, როცა რამდენიმე წუთით შევხვდი და ვკითხე, მაინც მთელი განვლილი ცხოვრებიდან ყველაზე ტკბილად რა გაგონდება-მეთქი, სულ ცხელ-ცხელი ამბავი, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი სპორტსმენების წარმატებები გაიხსენა.

„ბევრი კარგი მოგონება მაქვს — გვეუბნება ემზარ ზენაიშვილი — სკოლის, სტუდენტობის, ასპირანტურის დროინდელიც, კომკავშირულ, პარტიულ თუ საბჭოთა თანამდებობებზე მუშაობის პერიოდისაც და, რაღა თქმა უნდა, სპორტულ სფეროშიც საქმიანობიდანაც. თუმცა, ჩემი ყველაზე კარგი მოგონება სწორედ ათენის ოლიმპიურ თამაშებს უკავშირდება. სწორედ ამ ოლიმპიურმა თამაშებმა მოგვიტანა დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე დიდი სიხარული, რასაც ოლიმპიური ჩემპიონობა ჰქვია. ამას მთელი 12 წელიწადი ველოდით და, მესამე ცდაზე, როგორც იქნა, ლენტი გაიჭრა. თანაც ეს შესძლო ორმა სპორტსმენმა და კიდევ ორმა ვერცხლის მედლები მოიპოვა. ეს იყო იმ საერთო შრომის შედეგი და აქეთკენ მივილტვოდით ყველანი ერთად: მივილტვოდით: სპორტსმენები, მათი მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი, სპორტული ფუნქციონერები, სპორტული ჟურნალისტები თუ ბიზნესმენები და სახელმწიფო მოხელეები.

რა თქმა უნდა, ამ საქმეში თავისი აგური თავად ემზარ ზენაიშვილმაც დადო. იგი ყველას წვლილს მისხალ-მისხალ იხსენებს, საკუთარზე კი ამბობს, მე ჩრდილში დგომას ვამჯობინებ და შავ სამუშაოს ვასრულებო.

ისე, დიდი უმადური საქმიანობა კია ეს „შავი" სამუშაო...

კარგად მახსოვს სპორტული ფუნქციონერის რანგში ემზარ ზენაიშვილის პირველი ნაბიჯები „შევარდენში", მერე ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში. მაშინ ბევრი კითხულობდა ემზარ ზენაიშვილი ვინ არის, სპორტში საიდან მოვიდაო, მაგრამ სულ მალე სპორტში ეს უცხო კაცი შინაური გახდა.

ბევრი სპორტული ფედერაცია ცდილობს თავის რიგებში მის გაწევრიანებას და ხელმძღვანელ პოსტზე არჩევას. ამიტომაც დღეს ემზარ ზენაიშვილს ვხედავთ საქართველოს ფეხბურთისა და ჭადრაკის ფედერაციების, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასკომის წევრთა შორის; ჩოგბურთის ფედერაციაში პირველი ვიცე-პრეზიდენტია, არის საქართველოს ოლიმპიური ფონდის ვიცე-პრეზიდენტიც, რამდენიმე წლის წინათ კი ხელბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრთა შორისაც იყო.

მაინც, ამ სახეობათაგან ყველაზე მეტად რომელი უყვარს? ამ კითხვით ყასიდად ჩვენც დავინტერესდით, რადგან პასუხი ისედაც ნათელი იყო — ფეხბურთი და ჭადრაკი.

„არ მეგულება ადამიანი, ფეხბურთი რომ არ უყვარდეს და ბავშვობაში მაინც არ ეთამაშოს — გვეუბნება ემზარ ზენაიშვილი — ბავშვობაში მეც მთელი დღე ბურთს დავდევდი, სტუდენტობის დროსაც ხშირად ვთამაშობდი, „შევარდენში" მუშაობისას კი ყოველი საღამო ფეხბურთით თავდებოდა. რაც შეეხება ჭადრაკს...

აქ უმჯობესია გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი რამდენიმე „მოწმის ჩვენებიდან", რომელიც სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ოკეანის გაღმა-გამოღმა ფრენებს უკავშირდება. მაშინ ემზარ ზენაიშვილმა და საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ თურმე ერთმანეთი ჭადრაკის თამაშით შეიკლეს. ჭადრაკს თამაშობდნენ თვითმფრინავში მრავალსაათიანი ფრენისას და აეროპორტებშიც, როცა ერთი რეისიდან მეორის მოლოდინში, საჭადრაკო დაფას ბარგზე შლიდნენ.

ბევრჯერ მინახავს ემზარ ზენაიშვილი თბილისის ჭადრაკის სასახლეში თუ საჭადრაკო კლუბ ნნტ-ში, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი კი გაკვირვებული და აღტაცებული იხსენებს, ერთხელ საჭადრაკო სეანსისას ემზარმა ისეთი კომბინაცია ჩამიხლართა, რომ ყაიმს ძლივს მივაღწიეო. არაერთი დიდოსტატი ვაჟის დამმარცხებელი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალბატონის ასეთი კომპლიმენტი ალბათ ბევრ ნამდვილ მოჭადრაკესაც შეშურდებოდა.

მაგრამ ემზარ ზენაიშვილი, უპირველეს ყოვლისა, მაინც თავისი ოლიმპიური „მოძრაობითაა" ცნობილი. და რაკი ამგვარ „მოძრაობაში" ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მეც მრავალი წელია, ჩათრეული ვარ, არაერთხელ მომისმენია ზენაიშვილის უცხოელი კოლეგების, მათ შორის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხვადასხვა დონის ხელმძღვანელთა მიერ მისი მისამართით გამოთქმული კომპლიმენტები. და როცა ისინი სეოკ-ის პირველ პრეზიდენტ ნონა გაფრინდაშვილს ან ამ პოსტზე მის მემკვიდრე ჯანო ბაგრატიონს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენებით აჯილდოებდნენ, ამაში ემზარ ზენაიშვილის დიდი წვლილი და მისი მუშაობის აღიარებაც იყო.



ემზარ ზენაიშვილის მობილური გაწამაწია

მახსოვს ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის სიტყვები, სეოკ-ის პრეზიდენტობისას ვერას გავხდებოდი, გენერალურ მდივნად მხარში ემზარ ზენაიშვილი რომ არ ამომდგომოდაო. მერე, როცა გაფრინდაშვილმა ეს პოსტი თავისი ნებით დატოვა, მის მემკვიდრეს და სეოკ-ის წევრებს ურჩევდა, გენერალურ მდივნად ემზარ ზენაიშვილზე უკეთესი კანდიდატურა არ მეგულებაო. იგივეს ამბობდა და ამბობს სეოკ-ში გაფრინდაშვილის მემკვიდრე ჯანო ბაგრატიონიც.

ემზარ ზენაიშვილზე, როგორც სპორტის ფუნქციონერზე საუბარი, კიდევ ბევრი შეიძლება, მაგრამ ისე როგორ იქნება, ახლა მის სხვა პროფესიაზე თუ გატაცებაზე არ შევჩერდე.

თავად ზენაიშვილი თავის ერთ-ერთ საინტერესო წიგნში — „გადარბენა კალმით, უკალმოდ და დარდით" — წერს: „დიპლომით ირანული ისტორიის სპეციალისტი ვარ, საქმიანობით — სპორტის ფუნქციონერი, მოხელე თუ ჩინოვნიკი, როგორც გნებოთ, ჟურნალისტიკაში კი ჩემს ჭიას ვახარებ."

ჭიას ვახარებო, მორიდებით ამბობს, თორემ ეს კაცი არის სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, რომელიც თავის რიგებში პროფესიონალებს აერთიანებს; არის ჟურნალ „ოლიმპიელის" სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე... „ოლიმპიელმა" ამ ოთხი წლის წინათ რომ „მედია სახლის" კონკურსში გაიმარჯვა და „ოქროს კალამი" დაიმსახურა ნომინაციაში „საუკეთესო ჟურნალი", ამაში, რაღა თქმა უნდა, ემზარ ზენაიშვილის, როგორც სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარისა და ერთ-ერთი ავტორის დიდი წვლილიც იყო.

ზენაიშვილს ეამაყება, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მცდელობით, აქტიურობითა და დაკვეთით დაისტამბა და კვლავაც იბეჭდება ოლიმპიურ თემატიკაზე სხვადასხვა ავტორთა წიგნები, ბუკლეტები, ალბომები, ცნობარები, კალენდრები თუ პლაკატები. ამ საქმის მთავარი მამოძრავებელი სწორედ გენერალური მდივანია, ისევე, როგორც ცამეტსერიანი ფილმის „ათენიდან ათენამდე", როგორც იტყვიან, წარმოებაში ჩაშვებისა. ამავე დროს ემზარ ზენაიშვილი არის მრავალი პუბლიკაციის ავტორი ქართულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში, არაერთი წიგნის ავტორი და რედაქტორი.

სპორტული ფუნქციონერობისა არ იყოს, ემზარ ზენაიშვილმა აქტიური ჟურნალისტიკაც გვიან დაიწყო, მაგრამ ამ ამქარშიც უმალ შინაური კაცი გახდა.

„მეც მქონდა ბავშვობის ოცნება, მაგრამ არასოდეს მიფიქრია კოსმონავტობაზე ან ინჟინრობაზე, არქეოლოგობაზე თუ ექიმობაზე... სპორტული ჟურნალისტობა და კომენტატორობა მინდოდა. მინდოდა ფეხბურთზე მეწერა და ფეხბურთზე მელაპარაკა. ჩემდა საბედნიეროდ, მალე მივხვდი, რომ ლაპარაკი ჩემი საქმე არ იყო და ტელე-რადიოკომენტატორობაზე ფიქრი თავიდან ამოვიგდე, ჟურნალისტობაზე ოცნებას კი ვერ შევეშვი."

ემზარ ზენაიშვილი ამასაც თავის ერთ-ერთ წიგნში წერს და ამიტომაც ვეკითხები, რომელ სფეროში საქმიანობა განიჭებს უფრო მეტ სიამოვნებას-მეთქი.

ერთხანს ჩაფიქრდა და, რთული კითხვააო.

„ახლა არჩევანზე ფიქრი დაგვიანებულია — მეუბნება და აგრძელებს — სპორტულ ჟურნილისტიკას იმთავითვე იმიტომ ვერ გავყევი, რომ ორწლიანი სტაჟის გარეშე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე საბუთებს არ იღებდნენ. ორი წელიწადი ცდა უაზროდ მეჩვენა და სოფლიდან ჩამოსული ბიჭი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტს მივადექი, [illegible] ბდი, თან [illegible] ვებაც [illegible], მაგრამ იმ წლებმა მაინც [illegible], რომ დიდებული პედაგოგები მყავდა: აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, გიორგი ჩიტაია, სერგი ჭილაია, გიორგი გაბაშვილი... ჩემს დროს უნივერსიტეტის რექტორები იყვნენ ევგენი ხარაძე და ილია ვეკუა. მერე, სულ ახალგაზრდამ, უცხოეთში მუშაობა დავიწყე, რაც იმ წლებში თითქმის წარმოუდგენელი იყო. ერთხანს სამეცნიერო მუშაობასაც ვეწეოდი, სხვადასხვა თანამდებობებზეც ვიყავი, მაგრამ სპორტში საქმიანობის 15 წელიწადი ჩემი ბიოგრაფიის ის გამორჩეული ნაწილია, რომელმაც დაამშვენა და გაალამაზა ცხოვრება..."

მხოლოდ ერთზე წუხს ჩვენი კოლეგა, მხატვრულ ლიტერატურას წინათ ბევრს ვკითხულობდი. კითხვაში ვათენებდი და ვაღამებდი, ახლა კი ამისთვის იშვიათად ვიცლი და ჟურნალ-გაზეთებით ვკმაყოფილდებიო. მე კი ის უფრო მიკვირს, ან ამას როდისღა ახერხებს, როცა ფიგაროსავით ქალაქის ხან ერთ კუთხეშია საქმეზე, ხან დედამიწის მეორე სფეროში. და ამ დროს ჩიტს ხშირ-ხშირად მოაქვს ამბები, შენი მეგობარი ემზარ ზენაიშვილი გუშინ ამა და ამ სპექტაკლის პრემიერაზე ვნახე, გუშინწინ ფოტოგამოფენაზე, იმის წინ წიგნის ბაზრობაზე და ათას ადგილზეო...

ენერგიული კაცია ემზარ ზენაიშვილი!

**ავთანდილ გურასაშვილი**

დღეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი
ემზარ ზენაიშვილი
60 წლის გახდა.
სარბიელი
გილოცავთ საიუბილეო თარიღს. მუდამ ასე მხნედ და ენერგიულად, ბატონო ემზარ!

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივან
ემზარ ზენაიშვილს

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია 60 წლისთავს ულოცავს ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ბატონ
ემზარ ზენაიშვილს
და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს ქართული სპორტის სასიკეთოდ



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ემზარ ზენაიშვილი, ჯანო ბაგრატიონი და ევროპის ეოკ-ების ვიცეპრეზიდენტი პატრიკ ჰიკი



[illegible] ფოტო

გოგი თოფაძემ და ემზარ ზენაიშვილმა ერთმანეთი სოლტ ლეიკ სიტის აეროპორტშიც ჭადრაკის თამაშით შეიკლეს

US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $

# ფლეშინგ მედოუში ფრენსისმა ჩაუსწრო





REUTERS ნიუ იორკიდან

შხაპუნა წვიმამ კორტიდან ჯერ ჩოგბურთელები ააბარგა, შემდეგ მაყურებელი და უკანასკნელი დამლაგებელი

8 სექტემბერი

**ქალები**

**ნახევარფინალი**

**ლინდსი დევენპორტი (5, აშშ)** — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:1, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (9, რუსეთი)** — ნადია პეტროვა (14, რუსეთი) 7:6 (7:4), 6:3

ფრენსისად წოდებულმა შემზარავმა ქარიშხალმა იმ დღეს კუდი გაიქნია და აქამდე ზიპზინად მიმდინარე ფლეშინგმედოუზობას გაჰკრა. ამ გაქნევა-გაკვრიდან ის ამბავი მივიღეთ, რომ ანდრე აგასისა და როჯერ ფედერერის აგრე ნანინანატრი დაპირისპირება შუაზე გაგვიწყდა და ორ დღეზე დაგვიგრძელდა. თუმცა ამგვარი დაგრძელების საწინააღმდეგოდ ეგებ არც არაფერი გვქონდეს, რაკილა, ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ — სიამოვნება რაც უფრო დიდხანს გრძელდება, მით უფრო „ასწორებს".

ფრენსისის მორიგ წამოშხაპუნებამდე კი ამქრის პირველოსანმა და ტურნირის ორგზის ჩემპიონმა სამი სეტის თამაში მოასწრეს. პირველ სეტში ფედერერმა იმძლავრა, მეორეში უკვე აგასიმ აამუშავა თავისი ბასრი დიაგონალურების არტილერია, მესამეში კი უმჯობესი ისევ შვეიცარიელი იყო. აი, მეოთხის დასაწყისში კი, როცა წლეულს უკვე ორი სლემტურნირის მომგები 22 წლის ჭაბუკი 34 წლის არმენოამერიკელს 6:3, 2:6, 7:5 უგებდა, ისედაც ნახევრად დაცარიელებულ საჩოგნეთში ყანწისპირულმა ნალექმა მოასხა...

ამავე მომენტში მოუხდათ გასახდელისკენ დაძუძგვა მეხუთე ნომრად განთესილ ტიმ ჰენმანსა და სლოვაკ დომინიკ ჰრბატის. ბრიტანელი 6:1, 7:5, 4:5 იგებდა და ერთი ფიორალა აკლდა, თავის პირველ საამერიკისლიაპირველობო ნახევარფინალში რომ გასულიყო. სხვათა შორის, ჰენმანი წლეულს დიდი მუზარადის ტურნირებზე საერთოდაც რიგიანად გამოდიოდა, რის მაგალითადაც მის მიერ როლანგაროსობის ნახევარფინალში და უიმბლდონის მეოთხედფინალში თამაშიც იკმარებს.

სხვაფრივ: კაცთაგან განსხვავებით იმ დღეს კორტზე სამეოთხედფინალოდ გასულმა ქალებმა თავიანთი ქალური საქმეები წვიმამდევე მოათავეს — ლინდსი დევენპორტმა შიგობუ ასაგოეს ჩაურბინა 45 წუთში, 19 წლის რუსმა სვეტლანა კუზნეცოვამ კი რუსსავე ნადია პეტროვას აჯობა.

ორივე ეს მატჩი ასევე თითქმის დაცარიელებულ კორტებზე ჩატარდა — თუმცა ამას არც ლინდისთვის შეუშლია ჩოგანი და არც კუზნეცოვასთვის. 28 წლის ამერიკელმა — წლის ბოლოს დიდი ჩოგბურთიდან წასვლას რომ ეშურება — თავისი ზედიზედ 22-ე მატჩი მოიგო და ბოლო რვა წლის განმავლობაში უკვე მეშვიდედ უწია ფლეშინგმედოუზურ ნახევარფინალს.

შეგახსენებთ, რომ ლინდსი ტურნირის 1998 წლის ჩემპიონია. იმ წელს, სანამ ნიუიორკულ სეფეკორტებს გაჯეგავდა საჩემპიონოდ, მან ზაფხულში კალიფორნიულ სამტურნირეულზე იმარჯვა. იმის გათვალისწინებით, რომ იმავის გაკეთება ლინდსის წლეულსაც მოუხერხდა — და ასევე მისი ბრწყინვალე, საოცრად თავდაჯერებული ჩოგნაობის შემხედვარე — საამმომენტოდ ის ტურნირის უცილობელი ფავორიტია.

რაც შეეხება კუზნეცოვას, მან იმ პეტროვას მოუგო, წინა წრეში ამქრის პირველოსანი და შარშანდელი ჩემპიონი ჟუსტინ ენენ-არდენი რომ დაითხოვა. საწყის გეიმებს თუ არ ჩავთვლით, სვეტა მთელი მატჩის განმავლობაში უფრო მობილიზებულად და უფრო მყარად გამოიყურებოდა და ნახევარფინალსაც დამსახურებულად უწია.

მის საიმნახევარფინალო შანსებზე ვერას მოგახსენებთ. ერთი ეგ არის, რომ — დევენპორტის ალიარებით — მას ამ გოგონას თამაში მხოლოდ ხამუშ-ხამუშ თუ უნახავს. ეს კი ეგებ რუსგოგოს გარკვეულ უპირატესებასაც ანიჭებდეს, თუმცა ყველა სხვა ფაქტორი, ადგილობრივი პუბლიკის პროდევენპორტისტური განწყობის თამადობით, ალბათ მაინც ამერიკელის მხარეზე უნდა იყოს.

**ლევან ძელაურაძე**

ბორჯომის თასი. თიხნარი. საპრიზო 10 000 $

# ამორძალიანი

## ქართველო ხელი ჩოგანს იკარ



15 წლის ია ჯიქია მეოთხედფინალშია

**მეორე წრე**

**მარია კონდრატიევა (1, რუსეთი)** — ვარვარა გალანინა (რუსეთი) 6:2, 6:1; **ნატალია რახმანინა (რუსეთი)** — სოფო შაფათავა (საქართველო) 6:3, 7:5; **სოფო მელიქიშვილი (3, საქართველო)** — სვეტლანა მოსიაკოვა (რუსეთი) 6:4, 6:1; **ირინა კუზმინა (ლატვია)** — ევა ფერნანდეს-ბრიუგესი (8, ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:4; **ია ჯიქია (საქართველო)** — ვასილისა დავიდოვა (რუსეთი) 5:7, 6:2, 6:3; **ირინა ბურიაჩოკი (უკრაინა)** — ეკატერინა კოჟოხინა (4, რუსეთი) 6:4, 6:3; **თათია მიქაძე (საქართველო)** — ნატალია პერვიცკაია (რუსეთი) 6:0, 6:3; **მაკა ჩახნაშვილი (5, საქართველო)** — სალომე ჩაჩხუნაშვილი (საქართველო) 6:4, 1:6, 6:3

ასეთი რამ თბილისის საერთაშორისო ტურნირებს არ ახსოვს. მეოთხედფინალში გასული რვა ჩოგბურთელიდან ოთხი ქართველია. ისტორიას რომ ვახსენებთ, ცხადია, არც ის გავიწყდება, რომ ადრინდელი ტურნირები 25-ათასიანები იყო, „ბორჯომის თასი" კი 10-ათასიანია და შესაბამისად შემადგენლობაც, შესაძლოა, ძველებურად მრავალფეროვანი არ იყოს. თუმც ჩვენებურებმაც რომ მოუმატეს, ესეც მოგხვდება თვალში.

მეორე წრე გუშინ ჩამთავრდა. სხვებთან ერთად ექვსმა ქართველმა გაიქნია ჩოგანი. ამათგან მხოლოდ სოფო შაფათავა დამარცხდა უცხოტომელთან. მეორე წაგებულმა სალომე ჩაჩხუნაშვილმა კი მეოთხედფინალის გზა თვისტომ მაკა ჩახნაშვილს გაუხსნა. ეს თამაში საკმაოდ დაძაბული და კარგი საცქერი გამოდგა. აკი ტრიბუნებზე დანანებითაც თქვეს, სხვაგვარი კენჭისყრის შემთხვევაში მეორე წრეს ორივე გასცდებოდაო.

თანაბარ ბრძოლაში წააგო შაფათავამაც. პირველ წრეში თინათინ ყავლაშვილის მომგებ რუსს ნატალია რახმანინას ორივე სეტში ყოჩაღად ეჩოგნავა, თუმც...

მასპინძელთათვის ყველაზე იღბლიანი გამოდგა ცენტრალური კორტი. ოთხივე ქართველმა სწორედ მასზე გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური. ჩვენც თანმიმდევრობით მივყვეთ:

გამარჯვებების ათვლა სოფო მელიქიშვილმა დაგვაწყებინა. სოფომ თბილისის ყოველწლიურ სტუმარ სვეტლანა მოსიაკოვას ნანა უროტაძის დამარცხება აზღვევინა, თან ისე, გულშემატკივარი ერთხელაც არ აუნერვიულებია.

15 წლის ია ჯიქიასა და ვასილისა დავიდოვას ჩოგნაობა გაცილებით დაძაბული გამოდგა. პირველი სეტი რუსმა მოიგო და ჯიქიას ზედმეტი საათნახევრის დახარჯვა დასჭირდა. მეორე-მესამე სეტებში იამ შეცდომებს უკლო და დავიდოვა იოლადაც დაჩაგრა.

გუშინდელი დღის გმირი კი ულაპარაკოდ თათია მიქაძე იყო, რომელიც ტურნირის მეორე ნომრის, ანა ბასტრიკოვას მძლეველ გრძელფეხება რუს ნატალია პერვიცკაიას ბავშვივით გაუსწორდა. თანაც მთელ თამაშში ოდენ სამი გეიმი მოაგებინა.

მეოთხედფინალები დღეს იმართება და ნახევარფინალში უკეთეს შემთხვევაში სამი ჩვენებური გავა, უარესში ერთი მაინც. მელიქიშვილი საერთაშორისო რეიტინგით მასზე ოთხასი საფეხურით დაბლა მდგომ ლატვიელ ირინა კუზმინას ხვდება, ჯიქია — ათასეულის მკვიდრ უკრაინელ ირინა ბურიაჩოკს, ჩახნაშვილი და მიქაძე კი — ერთმანეთს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



*დღეს, ქალაქს ბინდი რომ გადაეკვრება, კიევიდან ფინეთის საკალათბურთო ნაკრები ჩამოფრინდება, რათა გულმოდგინედ ნაწრთობმა და მოგებებს ნაჩვევმა უკვე ოფიციალურ მატჩში იზეიმოს გამარჯვება საქართველოს ახლად შეკრებილ ნაკრებთან. ესაა ფინელთა სურვილი და რას დაუპირისპირებს მათ ქართველთა კიდევ უფრო დიდი ამბიციის მქონე გუნდი, შაბათს სპორტის სასახლეში გამოჩნდება*

# სტუმარი ჩაგვრისაა

## ფინურ დანას ფხას ხვალ მოვუსინჯავთ


დღეს ფინელებს ნბაგამოვლილი ჰანო მოტოლა ჩამოუძღვება

სანამ ფინეთის ნაკრების თვითმფრინავი ჩამოფრინდებოდეს, სკანდინაველთა შესახებ ცნობების შესავსებად ინტერნეტში შევიჭვრიტეთ — მაგრამ რა გინდა, რომ ნახო? ბევრიც არაფერი: ფინეთს ერთხელ, 1995 წლის ევროჩემპიონატზე უთამაშია და ყველა თამაში წაუგია. ეს ითვლება ფინური კალათბურთის ოქროს ხანად, რის მერეც სკანდინაველებს გვარიანი ჩავარდნა ჰქონდათ.

ახლა სუომელთა ნაკრები თითქოს ხელმეორედ დაიბადა, მეტად ძლიერი, შეკრულ-შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს და ბოლო ორი თვის განმავლობაში მოპოვებული მეტად საამაყო გამარჯვებებითაც იწონებს თავს.

ფინელთა ბოლო ოფიციალური ტურნირი იყო ევრო-2003-ის საკვალიფიკაციო ეტაპი, რომელიც ვერ დაძლია და, საქართველოს ნაკრების მსგავსად, მესამე წელია, ევროიზოლაციაში იმყოფება.

ფინელებს საკმაოდ გამართული საკალათბურთო მეურნეობა აქვთ და შიდა ჩემპიონატიც ერთობ ორგანიზებული და გუნდუხვია. ფინეთში საქართველოზე ბარე ათჯერ მეტი პროფესიული კლუბია. სუომელებს, ახალგაზრდულ ლიგებს თუ არ ჩავთვლით, სამი დივიზიონი აქვთ. ეგაა, სიძლიერით ვერ დაიკვეხნიან, თუმც არც ისეთი ბეჩავნი არიან, საკლუბო დონეზე ქართულებს დაეჩაგვრინონ.

მაგრამ კლუბების სიძლიერე, თითქმის არაფერს ნიშნავს, როცა ნაკრებზე მიდგება საქმე. აგერ, სლოვენია, სადაც ერთი „ოლიმპიაა“, ისიც ლეგიონერებით გაძეძგილი, თუმც ნაკრები კი ელიტარული ჰყავთ სლოვენიელებს. ფინელებიც ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებებით თუ მოიწონებენ თავს. სუომელთა გერმანელმა მწვრთნელმა ჰენრიკ დეტმანმა ნაკრები ამ ზაფხულს ჩაიბარა და 2 თვეა, ინტენსიურად და როგორც ჩანს, შედეგიანად ავარჯიშებს.

ფინეთმა აგვისტო-სექტემბერში ათამდე ამხანაგური მატჩი გამართა. ბალტიის თასის დაწყებამდე შვედეთს გაეჯიბრა და 85:93 დამარცხდა. ფინელებმა მეზობელს სამმაგი რევანში აულეს. ჯერ იყო და აგვისტოს დასაწყისში ბალტიის თასზე 73:68 მოუგეს, შემდეგ კი ორჯერ, 77:61 და 93:54 გაანადგურეს. ბალტიური თასი ფინელებს დარჩათ, რაკი მათ ესტონეთიც დაამარცხეს და ლატვიაც, ხოლო სულ ახლახან სუომელებმა დანია გაანადგურეს — 122:70. დანია არაა ხელწამოსაკრავი გუნდი, მას საქართველოს ნაკრები ევრო 2001-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე 109:78 დაუმარცხებია.

ფინეთის მხარეს საქართველოს კალათბურთის ფედერაციისთვის ოფიციალური შემადგენლობა არ გამოუგზავნიათ, 25 კაცის სია გვაახლეს, რომლებზეც თქვეს, კალათბურთელები და ნაკრებთან დაკავშირებული ხალხი არიანო. ფინელთა შემადგენლობა სპარინგმატჩების მიხედვით შეგვიძლია იოლად დავადგინოთ. ეგებ მთლად ზუსტი არ იყოს 12 კალათბურთელის ვინაობა, მაგრამ ლიდერთა მარაქა ერთია — ჰანო მოტოლა, ტეემუ რანიკო, იუკა მატინენი და მარტი კუისმა. ამათ გარდა არიან სხვა ლეგიონერებიც, თუმც როგორც ბოლო ტესტმატჩთა ოქმები გვამცნობენ, ყველაზე საფრთხილო ხალხი სწორედ ესენი არიან.

ფინელები ჩარტერული რეისით მოფრინავენ ჰელსინკიდან და თბილისამდე კიევში შეივლიან საწვავის შესავსებად. თბილისში ისინი სასტუმრო „ვარაზში“ დაბინავდებიან და დღესვე, 21 საათზე, სპორტის სასახლეს მიაშურებენ სავარჯიშოდ. შაბათს კი პირდაპირ თამაშის შემდეგ გაუტევენ უკან.

**ირაკლი პერტაია**

### ფინეთის ნაკრები

| | | | |
|---|---|---|---|
| ტეემუ რანიკო | 189 | 1980 | სკავოლინი, იტალია |
| იური ლეტონენი | 193 | 1973 | თავისუფალი აგენტი |
| იუკა კატაია | 197 | 1982 | ვილპასი |
| ტუკა კოტი | 204 | 1981 | პროვიდენსი, აშშ-ის სტუდენტური ლიგა |
| იუკა მატინენი | 202 | 1978 | სკაილაინერზი, გერმანია |
| კიმო მურინენი | 203 | 1981 | თავისუფალი აგენტი |
| მიკო ნოოპილა | 200 | 1977 | ბრაუნ შვაიგი, გერმანია |
| მარტი კუისმა | 208 | 1970 | თავისუფალი აგენტი |
| ჰანო მოტოლა | 208 | 1976 | სკავოლინი, იტალია |
| სამი ლეტორანტა | 205 | 1979 | თავისუფალი აგენტი |
| აკი ულანდერი | 208 | 1981 | ჰონკა |
| პასი რიიჰელა | 199 | 1975 | ლაპერანტა |




REUTERS ფოტოქრონიკა
ბევერი ხარი მარიო ლემიე სლოვაკთა ძლევას ბალღივით ხარობს

**მსოფლიოს თასი 2004** 30 აგვისტო — 14 სექტემბერი

# ტოლი ნახეთ

## კანადამ სლოვაკეთი გააგორა

— 8 სექტემბერი —

**მეოთხედფინალი**

**კანადა 5:0 სლოვაკეთი**

*0:0 4:0 1:0*

**1:0 ლეკავალიე (23), 2:0 იგინლა (26), 3:0 სმიტი (32), 4:0 საკიკი (32), 5:0 იგინლა (48)**

კანადელთა ტრიუმფალური სვლა გრძელდება. ჯგუფურ ეტაპზე ჩატარებულ სამ შთამბეჭდავ მატჩს მათ სლოვაკების განადგურებაც მოაყოლეს და ნახევარფინალისკენ გზა გაიკაფეს.

სანამ კანადელთა საგმირო საქმეებზე მოგითხრობდეთ, ერთ-ორ სიტყვა მათ მეტოქეზეც ვთქვათ, რომელთაც ერთ მატჩშიც არ გამოუვლენიათ ჩვეული აზარტი. გუნდურს ვინ ჩივის, თვით ინდივიდუალური ოსტატობითაც ღარიბნი ჩანდნენ. ეს კი გასაკვირია, რადგან სლოვაკეთი მაღალი კლასის ოსტატებითაა დაკომპლექტებული, რომელთაც არაერთხელ ისახელეს თავი მსოფლიოს ჩემპიონატებზე. როგორც ჩანს, აქ ფსიქოლოგიური ფაქტორი მუშაობს — სლოვაკებმა კარგად იცოდნენ, რომ თასზე ჰოკეის დონე გაცილებით მაღალია და ჯერჯერობით მათთვის მიუწვდომელი.

პირველი წუთებიდანვე ჩანდა, რომ ერთადერთი, რაზეც ევროპელები ოცნებობდნენ, ძირითადი დროის 0:0 ჩამთავრება იყო. ისინი დაცვაში ჩასაფრდნენ და კონტრშეტევებზეც კი არ ფიქრობდნენ, თუმც კანადა რა კანადა იქნებოდა, მეტოქის ციხესიმაგრე ვერ აეღო. მათ თავდაპირველად სლოვაკთა დაცვა დაზვერეს და სუსტი ადგილები მოინიშნეს, მეორე პერიოდში კი მთელი ძალით შეუტიეს და შედეგსაც უმალ მიაღწიეს. ჯერ ბრედ რიჩარდსი რიცხვმრავლობაში ფლანგიდან შეიჭრა მეტოქის ზონაში და ისეთი მოხერხებული პასი გააკეთა, რომ ვენსან ლეკავალიეს შაიბისთვის ყვანჯის დახვედრებაღა დასჭირდა. ორ წუთში ჯერომ იგინლასაც გაუმართლა, რომელმაც მანამდე უამრავი მომენტი გააფუჭა. დანარჩენი სამი შაიბიდან მარიო ლემიეს ორში საგოლე პასი ჩაეწერა. სწორედ მისი იუველირული სიზუსტით გადაცემული პასის შემდეგ შეასრულა იგინლამ დუბლი და მატჩს წერტილიც დაუსვა. საბოლოო ჯამში იგინლა-საკიკი-ლემიეს ხაზის ანგარიშზე 8 (3%5) ქულა მოგროვდა და მატჩის შემდეგ სწორედ ისინი შეაქო გუნდის თავკაცმა პეტ ქუინმა.

„ბიჭებმა დღეს აიწყვიტეს. მარიომ დიდებული პასები აკეთა, იგინლა კი დროულად გადიოდა კარგ პოზიციაზე. სამივე ერთად ჩინებულად აკონტროლებდა შაიბას“ — თქვა მწვრთნელმა.

**ნახევარფინალები**

— 10 სექტემბერი —

**აშშ — ფინეთი**

— 11 სექტემბერი —

**კანადა — ჩეხეთი**

**ბომბარდირები:** მოდინი (შვედეთი) 7(4+3), ტკაჩუკი (აშშ) 6(5+1), ტიმონენი (ფინეთი) 6(1+5), მოდანო (აშშ) 6(0+6), ალფრედსონი (შვედეთი) 6(0+6), საკიკი (კანადა) 5(3+2), ჰოლმსტრიომი (შვედეთი) 5(3+2)



REUTERS ნიუ-იორკიდან

# წვიმის დღეს

ამერიკის ღია პირველობა წვიმამ შეაჩერა. როცა თამაში გადადეს, კორტზე ჯონ მაკინროი გამოვარდა და ჩვეული ღლაბუცი დაიწყო: ენდი როდიკს ესროდა ბურთებს, სისველეში თამაში უნდა ვასწავლოთ.





REUTERS ნიუ-იორკიდან

# პირველი იაპონელები

ასეც მოხდა: აგე, იაპონელი ენბიეიში. იუტა ტაბუსემ უკვე მოაწერა ხელი მრავალწლიან კონტრაქტს „ფინიქს სანზთან“ და მალე ამერიკაშიც გაემგზავრება. ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციას კი, ცხადია, ბევრი ხალხი დაესწრო. ამერიკაში კი სხვა პირველი იაპონელი უკვე ხარობს. შინობუ ასაგოე სწორედაც რომ პირველი იაპონელია, ამერიკის ღია პირველობის მეოთხედფინალში რომ გავიდა მთელი ამხელა ისტორიის განმავლობაში.





REUTERS ტოკიოდან

# მისტერ 3000

ჰოლივუდში ახალი სპორტული კომედიის პრემიერა გაიმართება. ფილმს „მისტერ 3000“ ჰქვია და ერთი ბეისბოლისტის ცხოვრებას აღწერს. ეს ბეისბოლისტი თამაშს მაშინ გამოეთხოვება, როცა 3000 ათასი საკარიერო დარტყმა მოუგროვდება, ათი წლის შემდეგ კი შეიტყობს, რომ ამ 3000-დან 3 ჩამოურთმევიათ ხანგრძლივი განხილვის შემდეგ. ჰოდა, ის კვლავ ბრუნდება მინდორზე, რათა ის 3 დარტყმა კვლავ შემატოს საკარიერო მიღწევას. ამ ახირებული მოთამაშის როლს ბერნი მაკი ასრულებს, რომელიც ბეისბოლის ლეგენდასთან ვილი მეისსთან ერთად იცინის პრემიერაზე. უქალოდ ფილმი არ შეიძლება და მიჯნურს ეგზოტიკურად მოსილი ანჯელა ბასეტი ასრულებს.







REUTERS ლოს-ანჯელესიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge